ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ნათია ქებაძე

სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მექანიზმი აგრარულ სექტორში საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასისტენტ-პროფესორი

თამარ ლაზარიაშვილი

თბილი 2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მექანიზმი და მისი მნიშვნელობა საქართველოს აგრარული სექტორის განვთარებისთვის. აქცენტი გაკეთებულია ფერმერულ მეურნეობებზე, მათ ეფექტიან ფუნქციონირებასა და სექტორის განვითარებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების რეგულირებაზე. ასევე, საუბარია სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებზე.

სტატისტიკური მასალების ანალიზის პროცესში შესწავლილია საქართველოს აგრარული სექტორის დარგობრივი სტრუქტურა და აგროსასურსათო სექტორის განვითარების პარამეტრები, წარმოების მოცულობა, ექსპორტ-იმპორტი, აგრარული სექტორის წილის დინამიკა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

განალიზებული მასალებისა და მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია აგრარული სექტორის რეგულირებაში, კანონმდებლობის მოწესრიგებასა და გრძევლადიანი განვითარების საქმეში.

გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

Annotation

Mechanism of state regulation and support in the agrarian sector in Georgia

The article discusses the mechanism of state regulation, support and its importance for the agricultural sector of Georgia. The focus is on farms, their effective functioning and regulation of the priority directions of development of the industry.

In the process of analyzing statistical materials the sectoral structure of agriculture sector of Georgia and parameters of agricultural sector development, volume of production, export-import and dynamics of the share of agrarian sectors with regard to GDP.

Based on extensive materials and data, the conclusion is that the state plays an important role in regulating the agrarian sector, regulating the legislation and the development of a thriving development.

Conclusions are made in accordance with the identified problems and recommendations are offered.

შინაარსი

შესავალი 5

თავი1. სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა, როგორც აგრარული სექტორის პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი 11

1.1 აგროსექტორის სახელმწიფო რეგულირების ობიექტური წინამძღვრები 11

1.2 აგრარული სექტორის თანამედროვე გამოწვევები და რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები. 17

თავი 2. ფერმერული მეურნეობების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში 29

2.1. ფერმერული მეურნეობების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში 29

2.2 ფერმერული მეურნეობების ეფექტიანი ფუნქციონირების შესაძლებლობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი 40

თავი 3. აგრარული სექტორის სახელმწიფო რეულირებისა და მხარდაჭერის მსოფლიო გამოცდილება. 51

3.1 სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტები აგრარულ სექტორში 51

3.2 სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის შედეგების შეფასება. 72

დასკვნა 81

გამოყენებული ლიტერატურა 84

შესავალი

პრობლემის აქტუალობა.

საქართველო სოფლის მეურნეობის სპეციფიკის თავალსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია და მეურნეობის მდიდარი ტრადიციები გააჩნია. დარგი არამხოლოდ ეკონომიკურ, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის მატარებელია და დაკავშირებულია საქართველოში არსებულ 3500-ზე მეტ სოფელთან.

საქართველო მცირემიწიან, სუსტი ეკონომიკის ქვეყნებს მიეკუთნება. მისი ტერიტორია 69,700 კვადრატული კილომეტრია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები დაახლოებით 3 მილიონ ჰა-ს მოიცავს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 43.3% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად ითვლება, მათგან: საკარმიდამო-1%; მრავალწლიანი კულტურები-9%, სათიბი-5%, სახნავი-27%, ხოლო საძოვარი-58%. ქვეყანა მრავალფეროვანია ბუნებით, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ნიადაგობრივი და კლიმატური თავისებურებებით. ტერიტორიის 1/3 ტყითაა დაფარული. მეურნეობის სავარგულებისათვის გამოსადეგი მთელი სახნავი ფართობის მხოლოდ 40%-მდეა ათვისებული, რაც საკმაოდ დაბალია და თითოეულ მოსახლეზე 0,16 ჰექტარს შეადგენს. სოფლის მოსახლეობისთვის დასაქმებისა და შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ამჟამად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 97%-ზე მეტი თვითდასაქმებულია, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები კი დაბალია[1].

აგრარული სექტორი ოდითგანვე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში. თუმცა 90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა დიდი ზიანი მიაყენა სექტორის პოტენციალს. სხვადასხვა პერიოდში კი სექტორის მიმართ გამოჩენილმა არასათანადო ყურადღებამ და არასწორმა პოლიტიკამ, სექტორი სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო და შეაფერხა მისი გამართული ფუნქციონირება.

[1] საქარველოს მთავრიხის განკარგულება, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

2018 წლის მონაცემებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 41,3% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, აღნიშნული მაჩვენებელი 1990 წელს 25%-ს შეადგენდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2018 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმების მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 26% იყო, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში იგი 5%-ს არ აღემატება. სოფლის მეურნეობაში დასაქმების მაღალი მაჩვენებლით საქართველო ისეთი ქვეყნების რიცხვშია, როგორიცაა ინდოეთი, კენია,ნიგერია, ვიეტნამი, პაკისტანი და სხვა. მეზობელ ქვეყნებს ბევრად დაბალი მაჩვენებელი აქვთ, აზერბაიჯანი 37%, სომხეთი 33%,თურქეთი 19%,რუსეთი 7%.

1990 წლის ბოლოს საქართველოში აგრარული სექტორის მზარდი ტენდენცია გამოიკვეთა, სოფლის მეურნეობის წილი ყოველწლიურად იზრდებოდა, ექსპორტი კი იმპორტს 70%-ით აჭარბებდა. მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციისა სექტორში მაინც დაბალი რჩებოდა კომერციალიზაცია და სექტორი საოჯახო მეურნეობებისთვის ძირითადად თვითმოხმარების ფუნქციას ასრულებდა. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობამ დიდი როლი ითამაშა ხალხის სურსათით უზრუნველყოფის საკითხში. 1990 წლიდან უკვე უწყვეტად დაიწყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში დღემდე მცირდება, სექტორში კი იზრდება თვითდასაქმებულთა რაოდენობა. ამჟამად საქართველოს აგრარული სექტორი მძიმე მდგომარეობაშია, განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა სურსათის წარმოებაში. 2006-2018 წლებში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიგა პროდუქტში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2016 წელს აგრარული სექტორის 12,9%-იანი წილი მთლიან შიგა პროდუქტში, 2018 წლისთვის 7,7%-მდე დაეცა. მცირედი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება მთლიანი გამოშვებისა და შაუალედური მოხმარების მაჩვენებელი. 2018 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 4 037,4 მლნ ლარი შეადგინა, 2017 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 2.9 პროცენტული პუნქტით. 2018 წელს წარმოების მოცულობა გაიზარდა 6,4%-ით. მათ შორის შუალედური მოხმარება 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაზრდილია 2,6 პროცენტული პუნქტით, ხოლო დამატებითი ღირებულება 1.6 პროცენტული პუნქტით[2]. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური Geostat.ge

რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე 2018 წლის მონაცემებით 57.4 ლარია და შინამეურნეობათა ფულად შემოსავლებში მხოლოდ და მხოლოდ 5.5% უკავია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობები სუსტადაა განვითარებული. უნდა აღინიშნოს რომ 2018 წლამდე შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი კლება, კერძოდ 2017 წელს 2015 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე შემცირებულია 29 პროცენტული პუნქტით, ხოლო იგივე მონაცემი 2016 წელთან შედარებით შემცირებულია 23 პროცენტული პუნქტით. ზოგადად, შინამეურნეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში შეადგენს 43%-ს, 2018 წლამდე მაჩვენებელი ხასიათდებოდა კლების ტენდენციით. მაგალითად ეს უკანასკნელი 2017 წელს 2007 წელთან შედარებით შემცირებულია 26%-ით[3]. ასევე, დაბალია თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები ზოგიერთი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროდუქტებზე. 2018 წელს თვითუზრუნველყოფის დაბალი კოეფიციენტები დაფიქსირებულია ხორბლის (15%), ფრინველის ხორცის (34%), ღორის ხორცის (45%), ხორცის (52%) და სხვათა მოხმარებაში; შედარებით უკეთესი მაჩვენებლებია სიმინდის (71%), ბოსტნეულის (59%), რძისა და რძის პროდუქტების (82%), კარტოფილის (102%), კვერცხის (99%), ყურძნის (152%) და სხვათა მოხმარებაში[4].

სურსათის დეფიციტის შევსება იმპორტული პროდუქციის ხარჯზე ხდება. სოფლის მეურნეობის პირველადი და კვების პროდუქტების იმპორტი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტის მოცულობას, რაც ძირითადად განპირობებულია ამ პროდუქტების წარმოების დაბალი მოცულობით და შესაბამისი სექტორის სუსტი კონკურენტუნარიანობით უცხოელ მწარმოებლებთან შედარებით. კონკურენტუნარიანობის გაზრდა უნდა მოხდეს არა იმპორტზე ბარიერების დაწესებით, არამედ ადგილობივი წარმოების პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებით.

აგრარული სექტორის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული და კომპლექსური პოლიტიკის გატარება. სწორედ სახელმწიფოს როლს და მისი სახელმწიფო რეგულირების ძირითად ასპექტებს

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
[4] საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაცია 2018.

განვიხილავთ მოცემულ ნაშრომში, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას ემსახურება. განსაკუთრებით კი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ღმრა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებამ(DCFTA) წარმოქმნა შესაძლებლობა ევროპულ ბაზარზე შესვლისთვის. შეთანხმება გარკვეულ პირობებს უყენებს საქართველოს ევროპის ბაზარზე შესვლისათვის. რათქმაუნდა აღნიშნული პირობები გარკვეული სტიმულის მიმცემია ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისთვის, მათ შორის აგრარული სექტორისთვის.

2018 წელს შემუშავდა 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამა, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე, სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ზრდაზე. პროგრამაში ხაზგასმულია, რომ „მთავრობა გააგრძელებს აქტიურ პოლიტიკას გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობაში რომლის მიზანიც იქნება ჯანსაღი, ეკოლოგიური გარემოს უზრუნველყოფა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლის განვითარება”[5].

აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის, ეფექტიანი ფუნქციონირების, რესურსული პოტენციალის ფორმირების, განაწილების, მისი შემადგენელი ელემენტების გამოყენების და ცალკეული პრობლემების შესწავლისადმი საქართველოში მიძღვნილია რიგი გამოკვლევები, ამ მიმართულებით თავიანთი შრომები მიუძღვნეს პროფესორებმა: რ. ასათიანმა, რ. ანდღულაძემ, ე. ბარათაშვილმა, ს. ყარამაულმა, ნ. ქარქაშაძე, ბ. ბაკურაძემ, ნ. ჭითანავამ, ო. ვაშაკიძემ, რ. გოგოხიამ, რ. კაკულიამ, თ. კანდელაკმა, ი. მესხიამ, ვლ. პაპავამ, ე. ხარაიშვილმა, პ. ჩაგელიშვილმა, გ. ნიკოლეიშვილმა, გ. დოღონაძემ და სხვებმა. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა შესწავლილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფეტიანობის თავისებურებები.

---

[5] თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდეობა, სამთავრობო პროგრამა 2018-2020წ., ივნისი, 2018 წ. გვ. 27.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევის მიზანია საქართველოში აგრარული სექტორისადმი სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შეფასება და დარგის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა.

აღნიშნულის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- აგრარული სექტორის რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური წინამძღვრების შესწავლა;
- თანამედროვე გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოს აგრარულ სექტორში;
- აგრარულ სექტორში ფერმერული მეურნეობების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;
- აგრარულ სექტორში სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმის ეკონომიკური შეფასება და ძირითადი პრიორიტეტების ეკონომიკური დასაბუთება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს აგრარული სექტორი, ფერმერული მეურნეობები და სხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმები, საგანი კი სექტორში არსებული პრობლემების ანალიზი და სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები აგრარული სექტორის ეკონომიკური განვითარებისთვის.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის პროცესში გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზის, სინთეზისა და შედარების მეთოდები. სტატისტიკური მასალების ანალიზის პროცესში შესწავლილია საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და აგროსასურსათო სექტორის განვითარების დარგობრივი პარამეტრები, ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის დებულებები, აგრარული სექტორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების აღიარებული პრინციპები და მეთოდები, ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, სამთავრობო დოკუმენტები და კონცეფციები, საკანონმდებლო აქტები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი უწყებების მასალები,

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები.

თავი1. სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა, როგორც აგრარული სექტორის პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი

1.1 აგროსექტორის სახელმწიფო რეგულირების ობიექტური წინამძღვრები.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს, რომელშიც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. სექტორის ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფაა. აგრარული სექტორი ეხმარება სხვა სექტორებს შრომითი და საფინანსო რესურსების გადანაწილებით. იგი აწვდის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს სურსათსა და ნედლეულს. სურსათისა და ნედლეულის მიწოდების გარდა იგი დასაქმების შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობის ძალიან დიდ რაოდენობას. მან უკვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოწინავე ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობაში და მის როლს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის.

აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს აგრარული სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობას ქვეყანაში. საქართველოს აგრარულ სექტორს, სწორი სახელმწიფო პოლიტიკით შეუძლია მნიშვნელოვნად განვითარდეს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით[6]. კლიმატური ნაირსახეობა, რომელიც გამოიხატება 12 განსხვავებული ზონისა და 49 სახის ნიადაგის არსებობით,[7] გვაძლევს საშუალებას ვაწარმოოთ დივერსიფიცირებული პროდუქცია, მათ შორის სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი კულტურები. აღნიშნული მოიცავს: ყურძენს, სუბტროპიკულ კულტურებს, მარცვლეულს, ხილის ნაირსახეობებს, ბოსტნეულს, ბაღჩეულსა და სხვა. მიუხედავად არსებული ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა სექტორების განვითარების ტემპს. აგრარული

[6] ერქომაიშვილი გულნაზი, საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული წინამძღვრები, თბილისი2016

[7] საქართველოს სტატსტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge

სექტორი და მთლიანად ეკონომიკა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება. საბჭოთა კავშირის დაშლისა და სოციალისტური ეკონომიკის რღვევის შემდეგ ქვეყანამ დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რაც მარტივად არ განხორციელებულა. სრულიად ახალ სისტემაზე მოუმზადებლად გადასვლამ და ქაოტურად განხორციელებულმა პოლიტიკამ, სათანადო შეფასებებისა და გამოკვლევების გარეშე ვერ მოიტანა შესაბამისი შედეგი და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი სექტორი კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო. ყოველივე ზემოაღნიშნული შეეხო ეკონომიკის ყველა დარგს, მათ შორის აგროსექტორსაც, რომელიც სხვა დარგებთან ერთად ქმნის ქვეყნის ერთიანი განვითარების წინაპირობას.

დღემდე სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება 1992-1998 წლებში განხორციელებული მიწის რეფორმა, რომელმაც მეურნეობების მცირე ფართობებად დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია გამოიწვია. ოფიციალური მონაცემებით საქართველოს მიწის ფართობი დანაწევრებულია 700 000-მდე მიწის ნაკვეთად, საიდანაც 1 ჰექტრამდე მიწას ფლობს მოსარგებლეთა 73%, 1-დან 5 ჰექტრამდე ფართობს - 25.5%, ხოლო 5 ჰექტარზე მეტს - მხოლოდ 1.5%. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების 1 ჰექტარი მიწა წარმოდგენილია 2-3 ნაკვეთად. მცირე ზომისა და არახელსაყრელი, გაფანტული მდებარეობის გამო მათზე განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არაეფექტურობით ხასიათდება და სათანადო წვლილი ვერ შეაქვს აგრარული სექტორის განვითარებაში. აქედან გამომდინარე, მომგებიანი და ეკონომიკურად ძლიერი სოფლის მეურნეობის განვითარება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია.

საქართველოს რეალობაში ერთგვაროვანია აზრი იმის შესახებ, რომ აგრარულ სექტორს დიდი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. გააზრებულია, რომ აუცილებელია მისი განვითარების აქტიური ხელშეწყობა და რიგი ღონისძიებების გატარება დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, პროფესორ პაატა კოღუაშვილის მოსაზრებით აგრარული სექტორის აღორძინება პრაქტიკულად შეუძლებელია აგროკრედიტის

სისტემის ფორმირების, საჯარო მომსახურების სტრუქტურების შექმნის, ეროვნული ბაზრის დაუცველობის, აგროწარმოების მომსახურე დარგების მონოპოლიური მდგომარეობისა და მთავრობის მხრიდან არასათანადო მხარდაჭერის და რეგულაციების პირობებში, ასევე ეფექტიანი საგადასახადო, სადაზღვევო, საფინანსო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების გარეშე.

ყურადრება უნდა გავამახვილოთ აგრარული სექტორის როლზე, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გატარებული პოლიტიკის შედეგიანობას. სექტორს შეიძლება ჰქონდეს პასიური და აქტიური როლი. პასიური როლი გულისხმობს აგრარული სექტორის განვითარებას მხოლოდ სოციალური მიზნებიდან გამომდინარე, ანუ სიღარიბის წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა ძირითადად ჰუმანიტარული ხასითის მატარებელია და არაა გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივებზე, შესაბამისად დადებით გავლენას ვერ ახდენს აგრარული სექტორის მაჩვენებლებზე, რაზეც სექტორის სტატისტიკაც მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სამთავრობო დოკუმენტების მიხედვით აგრარული სექტორი უკვე აღიარებულია პრიორიტეტულ მიმართულებად მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში კვლავაც მცირდება და წლების განმავლობაში 9%-ს არ სცდება. ეს მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის თითქმის ნახევარია დასაქმებული. სექტორისთვის აქტიური როლის მინიჭების შემთხვევაში მასში აქტიურად იზრდება ინფრასტრუქტურა, ინვესტიციები და დარგი კომერციულ მნიშვნელობას იძენს. საქართველოს მაგალითზე კი მრავალი პროგრამის მიუხედავად, რომელშიც საერთაშორისო ორგანიზაციებიც აქტიურად არიან ჩართული, ვერ ხერხდება დარგის კომერციალიზაცია და წარმოების დონე ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც ვერ ახერხებს. სწორედ ამ შედეგებიდან გამომდინარე არსებობს სკეპტიციზმი იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია სახელმწიფოს ითამაშოს დიდი როლი დარგის კრიზისიდან გამოყვანაში და თუ გადააჭარბებებს სექტორიდან მიღებული სარგებელი იმ დიდი რაოდენობით დანახარჯებს, რომელსაც იგი მოითხოვს. ტრადიციული დამოკიდებულება აგრარული სექტორისადმი ასევე გამოწვეულია ღია სავაჭრო ურთიერთობებით, რომლის თანახმად მიზანშეწონილია იმ დარგების განვითარება, რომელთაც გააჩნიათ შეფარდებითი უპირატესობა.

აღსანიშნავია ძირითადი პრობლემები, რომელებიც უარყოფითად აისახება სექტორის განვითარებაზე:

- განათლებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა
- წარმოებული პროდუქციის ხარისხი;
- პროდუქციის ფალსიფიკაცია;
- ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა;
- არასაკმარისი ფინანსები;
- ტექნიკური აღჭურვის დეფიციტი;
- არაპროდუქტიული და დეგრადირებული სათესლე მასალის გამოყენება.

საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული მრავალი პრობლემების შედეგად გამოწვეული მდგომარეობიდან გამოსასვლელად აუცილებელია განისაზღვროს სტრატეგიული ამოცანები, და გააქტიურდეს აგროსექტორისადმი მხრდაჭერის პოლიტიკა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ უნდა შექმნას ოპტიმალური პირობები სექტორის ეფექტიანი განვითარებისთვის, გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნები, სადაც აგრარულმა სექტორმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მნიშვნელოვნადაა განპირობებული სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მდგრადი განვითარება შეუძლებელია სწორი დარგობრივი პოლიტიკისა და სახელმწიფოს მხრიდან დარგისადმი პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭების გარეშე.

აგრარული სექტორი პრიორიტეტული 2010-2011 წლებიდან გახდა განსაკუთებით მას შემდეგ, რაც გვალვების გამო შემცირდა მარცვლეულის ექსპორტი მომწოდებელი ქვეყნებიდან. 2010 წელს კი სურსათზე ფასების მკვეთრ ზრდას მოჰყვა 27%-იანი აგროინფლაცია. ამის შემდეგ გამოიკვეთა მკვეთრი აქცენტები სოფლის მეურნეობის მიმართ, რამაც ასახვა 2011-2015 წლების 10-პუნქტიან გეგმაში ჰპოვა, რომელიც ითვალისწინებდა ბიზნესსა და ტრადიციულ შინამეურნეობებზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მიდგომას მხარი დაუჭირეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დონორებმა, ბიზნეს სექტორმა და მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. აღნიშნულმა ხელი შეუწყო 2012-2022 წლებისთვის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის მომზადებას, რომლის

განვითარებაშიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელს უწყობს აგრარული და სასოფლო განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა(ENPARD). აღნიშნული პროგრამის მიზანია სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება. სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა სოფლის მეურნეობის განვითარება, მცირე შინამეურნეობების გაძლიერებისა და მომგებიანი წარმოებს ქსელის ფორმირების მეშვეობით[8]. გარდა ამისა მომზადდა სხვადასხვა სტრეტეგიული დოკუმენტები, რომლებშიც განისაზღვრა ძირითადი სამოქმედო გეგმები და მიმართულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია სექტორის განვითარებისთვის. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიულ განვითარების დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- აგრარული სექტორის ინსტიტუციური განვითარება;
- მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება;
- რეგიონული და დარგობრივი განვითარება;
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა;
- კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება[9].

აღნიშნულ დოკუმენტის მიხედვით აგრარული სფეროს განვითარებისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

2. მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი.

---

[8] „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში 2012 „ გვ23.

[9] საქართველოს აგრარულ საკითხთა სამოქმედო გეგმა 2018-2020

3. სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლოსამურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.

5. საჭიროა განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორირებული ფართობების ინვენტარიზაცია.

6. უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა. შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.

7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

8. საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.

9. საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების წახალისება, საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა.

სექტორისადმი ყურადღება თანდათან უფრო იზრდება, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ურთიერთობის გაფორმებით. აღნიშნული შეთანხმება საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი და თავისუფლად შევიტანოთ აგროსასურსათო პროდუქცია ევროკავშირის ფართო ბაზარზე. ამავდროულად, საქართველომ მიიღო გარკვეული ვალდებულებები, რაც გულისხმობს, საკანონმდებლო კუთხით ევროკავშირთან დახლოებას, რაც ეკონომიკის სხვა სექტორებთან ერთად აგრარულ სექტორსაც მოიცავს.

აგრარული სექტორის სახელწიფო რეგულირებისთვის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაერთიანებულია რამდენიმე უწყება, სურსათის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, ღვინის ეროვნული სააგენტო, კოოპერტივების განვითარების სააგენტო, პროექტების მართვის საგენტო, რომლებიც ერთიანი ძალისხმევით მუშაობენ აგრარულ სექტორის განვითარებისთვის. მათი ძირითადი ამოცანებია:

- აგრარული რეფორმის განხორციელება ქვეყნის ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდლების გათვალისწინებით;
- სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამუშავებისა და სასურსაო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა;
- საექსპორტო პოტენციალის გამოყენების, საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების მოპოვებისა და განმტკიცების ხელშეწყობა და სხვა.

1.2 აგრარული სექტორის თანამედროვე გამოწვევები და რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები.

აგრარული სქტორი მრავალ ქვეყანაში წამყვან ადგილს იკავებს, მისი რეგულირება კი მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს და სხვადსხვა გამოწვევებთანაა დაკავშირებული. როგორც უკვე განვიხილეთ საქართველოს აგრარული სექტორის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისთვის. სხვადასხვა ქვეყანას, განვითარების დონის, რესურსების რაოდენობისა ზოგადად განვითარების მიმართულებით სხვადასხვა გამოწვევები გააჩნია. ძირითადი გამოწვევები კი საქართველოს აგრარულ სექტორში შემდეგია:

- დაბალი მწარმოებლურობა;
- ინფორმაციისა და ცოდნის ნაკლებობა;
- ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება;

- აგრარული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება;

სექტორის გამოწვევებიდან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მწარმოებლურობისა და გამოშვების დაბალი დონე. რომელთა ზრდას დანაწევრებულ მიწებთან ერთად ხელს უშლის აუთვისებელი მიწის რესურსი, ამასთან ერთად მიწის გადასახადი და ჯერ კიდევ დაუსრულებელი მიწის რეგისტრაციის რეფორმა. დარგი, რომლის წილიც მთლიან შიდა პროდუქტში 9%-ს არ აღემატება, იმ პირობებში, როდესაც მასში მოსახლეობის თითქმის ნახევარია დასაქმებული, რათქმაუნდა არაეფექტიანი და დაბალმწარმოებლურია. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება განსაკუთრებით 2017 წელს შემცირდა. შემცირებულია, ხორბლის სიმინდის, ხილის, ბოსტნეულის, თხილის და სხვა აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება.

ცხრილი1

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება (2015-2018 წლები, ათასი ტონა)[10]

	2015	2016	2017	2018
ხორბალი	121.0	126.6	97.9	107.1
სიმინდი	184.6	243.7	142.5	194.2
ბოსტნეული	152.3	141.7	125.9	142.2
ხილი	436.3	411.1	353.0	514.5
ხორცი	66.7	66.1	66.2	72.6
რძე(მლნ.ლიტრი)	566.3	540.1	528.4	555.3
თაფლი	2.0	2.1	2.5	2.5
თხილი	35.3	29.5	21.4	17.00
ყურძენი	214.5	159.2	180.8	259.9

2018 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 6,4%-ით გაიზარდა. მემცენარეობაში ფიქსირდება 10,9%-იანი ზრდა, ხოლო მეცხოველეობაში -2,1%-იანი. ცხრილიდან ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმრავლესობა 2017 წელს მნიშვნელოვნად

[10] სტატისტიკური პუბლიკაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2018

შემცირდა 2016 წელთან შედარებით. აღნიშნული განპირობებულია მიზეზებით, რომლებიც ზემოთ უკვე აღვნიშნთ, ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობა, ბუნებრივი პირობები და მიწების დაქუცმაცება. ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობა ერთ დასაქმებულზე არის ბევრად ნაკლები, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორებში, რაც სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული. სექტორში მომუშავე ერთ ადამიანზე კაპიტალშეიარაღება არის ძალიან დაბალი და სოფლად დასაქმებულთა დიდი ნაწილს უხდება ტრადიციული იარაღების გამოყენება. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ცოდნა და მასზე დაფუძნებული საქმიანობა. ცოდნა და კვლევების განხორციელება არაა სათანადო დონეზე, სწორედ ამან განაპირობა, რომ ვერ ამართლებს სოფლის მეურნეობაში ჩადებული დიდი თანხები, რომელმაც 2013-2018 წლებში მილიარდს გადააჭარბა სხვადასხვა პროექტების სახით. მიუხედავად სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილი თანხებისა, მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში წლებია მცირდება. 2018 წელს სექტორის წილი შემცირდა 2,9%-ით. 2014-2017 წლების მონაცემებთან შედარებით, 2018 წელს გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, რაც აიხსნება იმით, რომ წარმოების დონის ზრდამ გამოიწვია გაყიდვების გაზრდაც. ამასთანავე წინა წელთან შედარებით სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 7.9%-ით, განსაკუთრებით კი ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე 33,7%, თევზეული 13.5%, და ხილსა და ბოსტნეულზე -19.9%.

წარმოების მნიშვნელოვანი განსაზღვრელი ფაქტორი ინვესტიციებია, რომლის სახარბიელო მდგომარეობაც საქართველოში ნამდვილად არაა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს აგრარულ სექტორიში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა გაიზარდა 3 მილიონით და 15 მილიონი ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში 2014-2018 წლებში[11]

	2014	2015	2016	2017	2018
სულ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია	1 817 689,7	1 665 557,6	1 565 837,6	1 894 491,3	1 232 449,0
ინვესტიცია სოფლის მეურნეობაში	12 290,3	18 591,3	8,354,8	12 386,8	15,939,5

ცხრილის მონაცემების მიხედვით 2016 წლის შემდეგ აგრარულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციები იზრდება. შეადგენს. 2018 წელს განხორციელებულია 1,2 მლრდ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, აქედან აგრარულ სექტორში განხორციელებულია მხოლოდ 15 მლნ დოლარის ინვესტიცია. 2017 წელთან შედარებით ინვესტიციათა მოცულობა დაახლოებით 4%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა აგრარულ სექტორში მობილიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი რაოდენობის უმნიშვნელო თანხა, რომელიც 2018 წლისთვის 1%-ს შეადგენს. 2018 წელს განხორციელებული ინვესტიციათა რაოდენობით აგრარული სექტორი ერთერთ ბოლო ადგილზეა სექტორებს შორის (იხ.დიაგრამა 1).

[11] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით 2018 წელს(მლნ.აშშ დოლარი)[12]



დიაგრამა 1

დიაგრამაზე მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარე ინვესტიციების ყველაზე მეტი მოცულობა ფიქსირდება საფინანსო სექტორში 15,2%, ტრანსპორტი 10,2%, სასტუმროებსა და რესტორნებში 9.0% და დამამუშავებელ მრეწველობაში 7.5%.

მიუხედავად ააგრარულ სექტორში მიმდინარე უარყოფითი მოვლენებისა მცირე ზრდით ხასიათდება აგროსასურსათო გამოშვების საერთო დონე, რაც გარკვეულწილად იმიტომ ხდება რომ მაჩვენებელი გაანგარიშებულია მიმდინარე ფასებით. (იხ.ცხრილი 3).

ცხრილი 3

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვება 2011-2018 წლებში, (მლნ.ლარი)[13]

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მემცენარეობა	1,237,9	1,087	1,405.2	1,485.7	1,622	1,656.7	1,632.6	1,809.4
მეცხოველეობა	1,337	1,610	1,666,	1,613	1,837	1,984	1,979	2,020

[12] Geostat.ge

[13] სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge

სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	99	110	139	161	194	213	183	207.1
სულ-სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება	2,674	2,807	3,210	3,653	3,653	3,854	3,922	4,037.4

ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით 2018 წელს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 4 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მცირედით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს, რომელიც 1.8 %-ით აღემატებოდა 2016 წლის მაჩვენებელს. 2017 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად, 5.2 მლრდ. ლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია შეიქმნა, რაც 8.9 %-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, აგროსექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვების ზრდამ 2,9 % შეადგინა.

საქართველოს აგრარულ სექტორში მწვავედ დგას ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა, რომელიც სექტორის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა და ადგილი დაიკავა აგრარული პოლიტიკის მნიშვნელოვან პროექტებსა და სტრატეგიებში. საქართველოს სოფლის მეურნეობაში კვლავაც აქტიურად გამოიყენება მოძველებული მიდგომები და წინაპართა ცოდნაზე დაფუძნებული საქმიანობა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუწვდომელია ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, ამიტომაც მუნიციპალიტეტებში შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები[14] რომელიც გულისხმობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საკონსულტაციო სამსახურების მეირ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სოფლის მეურნეობაში მოქმედი სამართლებრივი და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ დაინტერესებული პირების დროულ ინფორმირებას, სამინისტროს პოლიტიკისა და

[14] საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2018.

პროგრამების შესახებ, სოფლის მეურნეობის სფეროში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს დროული ინფორმირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა, ბაზარზე არსებული სათესლე და სარგავი მასალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, მათი სპეციფიკაციის მიხედვით დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციების გაწევა, მუნიციპალიტეტში მექანიზაციის ხელმისაწვდომობაზე, ასევე ინფორმაციის მიწოდება ბაზარზე არსებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ. ცხოველთა მოვლა-მოშენების შესახებ თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია. სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე ექსტენციის ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა, სხვადასხვა ტრენინგების სწავლებებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში შექმნილი საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება.

2013 წლიდან, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ფუნქციონირებს, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფერმერთა ცოდნის ამაღლება ნიადაგის დამუშავების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, ცხოველთა მოვლის, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებებით.

ფერმერთათვის ცოდნის გადაცემის მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენდა 2014 წელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების კვლევა - დანერგვა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ცნობადობის ამაღლებაა.

2017 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანია არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის გარდაქმნა ფერმერთა რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ ექსტენციის სამსახურად. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფერმერთათვის ახალი ტექნოლოგიების გაცნობისა და ცოდნის გადაცემის გზით. სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელება დამოკიდებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებებაზე:

- მოქნილი და გამჭვირვალე მენეჯმენტი;
- გამართული და ეფექტური ინფრასტრუქტურა - სადემონსტრაციო ნაკვეთებით, სატრანსპორტო საშუალებებით, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემის ტექნიკური საშუალებებით, პროფესიული ადამიანური რესურსით, ცოდნის გადაცემის თვალსაჩინო მასალებით.
- სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი-აგრარული ბაზრის კვლევით, მარტივი და პოპულარული გზით ფერმერთა კონსულტირებით და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია გულისხმობს ასევე პროფესიული სწავლების ხარისხისა და უმაღლესი განათლების გაუმჯობესებას, ვინაიდან საკმაოდ მცირეა აგარარული პროფილის სპეციალისტები, და მცირდება ახალგაზრდათა დაინტერესება სექტორით. ამიტომაც ექსტენციის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ესაა და ორიენტირებულია სექტორში პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამების განვითარებისკენ[15].

გლობალურ დონეზე აგრარული სექტორის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, რაც არც საქართველოსთვის წარმოადგენს გამონაკლისს. ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება გამორიცხავს წარმოების პროცესში ქიმიური სასუქების და პესტიციდების გამოყენებას, ამასთანავე ბიოპროდუქტის წარმოების დროს აკრძალულია გენეტიკური ინჟინერიის

[15] სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია 2018-2019

მეშვეობით მიღებული ორგანიზნებისა და პროდუქტების გამოყენება. ბიოლოგიური პროდუქტების მოხმარება ყოველწლიურად იზრდება და ამჟამად ფუნქციონირებს მსოფლიოს 121-ზე მეტ ქვეყანაში. იგი გულისხმობს მეურნეობის და წარმოების ისეთ მეთოდებს, რომელიც ხელს უწყობს ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს შორის ისეთ ურთირთობას, როდესაც დაცულია ბუნებრივი წონასწორობა. არ გამოიყენება სასუქები, პესტიციდები და სხვა ქიმიური დანამატები, რასაც შეუძლია უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადმიანის ჯანმრთელობაზე. საქართველოში ფუნქციონირებს ერთი ბიო-ფერმერული მეურნეობა „ელკანა“, რომელიც აერთიანებს 900-ზე მეტ წევრს, მათ შორის არის ფერმერთა ჯგუფები, ასოციაციები, კოოპერატივები, საწარმოები და სხვა.[16] ორგანიზაცია დაარსდა 1994 წელს, როდესაც სოფლის მეურნეობა ინფორმაციისა და ცოდნის დეფიციტს განიცდიდა. ასოციაცია ამჟამად მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

- სამრჩევლო;
- ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სოფლად;
- აგრარული მრავალფეროვნების დაცვა;
- სოფლის ტურიზმი;
- საზოგადოებრივი ურთიერთობები[17].

აგრარული სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსული პოტენსიალის ფორმირება, განსაზღვრა და მიზნობრივი გამოყენება. აგრაული პოტენციალის განსაზღვრა და მისი ეფექტანობის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტია ეკონომიკის განვითარებისთვის. ეს განაპირეობებს ისეთი ეკონომიკური კატეგორიების ღრმა გაანალიზებას, როგორიცაა აგრარული პოტენციალი და აგრარული წარმოების ეფექტიანობა. აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალი არის იმ რესურსების რაოდენობა და ხარისხი, რომელიც საჭიროა ეკოლოგიურ-სოციალური და ეკონომიკური სისტემის გაფართოებული კვალვწარმოებისთვის. იგი განსაზღვრავს აგრარული სფეროს საზოგადოებრივი პროდუქტის ზღვრულ მოცულობას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას სურსათით, ხოლო სამრეწველო წარმოებას კი ნედლეულით.

[16] ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ elkana.org.ge

[17] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ანგარიში გვ49.

რესურსების გამოყენების ეფექტიანობა გულისხმობს საწარმოო რესურსების ერთეულზე წარმოებული პრუდუქციის რაოდენობის ზრდას. ასევე დანახარჯების გამოყენების ეფექტიანობას, რაც შრომის ნაყოფიერების გაზრდაში აისახება.[18]

საქართველოს აგრარული სექტორში არსებული რთული ვითარება მოითხოვს ქვეყანაში რესეურსების რაციონალურ გამოყენებას, რომელიც მისი ოპტიმალური შეფასების გზით მიიღწევა. ჩვენს ქვეყანაში არსებული პირობებში საჭიროა რესურსების მასიმალური მობილიზება და მათი ეფექტიანად გამოყენება. პროცესის სრულყოფილ ორგანიზაციას კი მივყავათ ეკონომიკურ აღმავლობამდე და საერთო კეთილდღეობის დონის ზრდამდე.[19]

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მიხედვით, „ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის განვითარებას. სოფლის განვითარება საერთაშორისო და ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის და სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური უთანაბრობის შემცირებისთვის”[20]. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „სოფლის განვითარების და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობას და ტენდენციებს, რაც უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული სტრატეგიების განხორციელებით და მრავალდარგობრივი მიდგომებით. ამ პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობა. მათ მეტი მნიშვნელობა უნდა შესძინონ სოფლის იდენტობას და შექმნან მდგრადი განვითარების საფუძველი, უზრუნველყონ სოციალური ჩართულობა და ადგილობრივი განვითარება, ისევე, როგორც ხელი შეუწყონ მეურნეობებისა და თემების სიცოცხლისუნარიანობას სოფლად“.

აგრარულ სექტორში მდგარი გამოწვევებთან გამკლავება შეუძლებელი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმის გარეშე. პოლიტიკოსთა და

---

[18] ტუფურია. „აგრარული წარმოების რესურსული პოტენციალი და განვითაების პერსპექტივები სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე“.2010წ.გვ.89

[19] ბერიძე ზ.“ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში” 2011წ. გვ4-5

[20] საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020

მეცნიერთა უმრავლესობა მხარს უჭერს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის განვითარებისადმი დახმარების აუცილებლობას სექტორისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომებით. პირველ რიგში აგრარულ მეურნეობაში სექტორში მდგომარეობის გაჯანსაღება უნდა ჩაითვალოს ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-განმტკიცების ერთ-ერთ განსაზღვრელ ფაქტორად, უნდა მოხდეს ეროვნული თავისებურებებისა და მსოფლიო გამოცდილების გაერთიანება, განისაზღვროს დარგის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები[21]. სოფლად არსებული პრობლემების გადაჭრა უნდა მოხდეს კომპლექსურად. ცალკეული პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული პოლიტიკა შედეგს ვერ მოიტანს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც გრძელვადიან შედეგებზე იქნება გათვლილი. ამისთვის მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ცვლილებები, რომელიც წაახალისებს მიწების გამსხვილებას. მნიშვნელოვანია სოფლად ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, იაფი კრედიტის, სადაზღვეო სისტემის, ექსპორტის წახალისების პოლიტიკა. ყოველივე ამასთან ერთად უნდა მოხდეს სექტორში დასაქმებულთა სტიმულების მუდმივი გაძლიერება, რაც თავისთავად დადებითად იმოქმედებს აგრარული სექტორის განვითარებაზე[22]. აქ აღსანიშნავია საქართველოს სოფლების დინამიურ განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მნიშვნელოვან სტრტეგიულ ღონისძიებებს უნდა აერთიანებდეს, რომელთა მიზანიც იქნება სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება. აღნიშნულისთვის საჭირო ღონისძიებები მოიცავს ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობას, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების მხარდაჭერას, სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი

[21] ჭითანავა ნ. საქართველოს აგრარული სექტორის დღევანდელი მდგომარეობის ძირითადი ნიშნები და თავისებურებები

[22] აბესაძე რ. სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები საქართველოში

შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს”[23].

[23] საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020

თავი 2. ფერმერული მეურნეობების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში

2.1. ფერმერული მეურნეობების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში.

ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს შედარებით მცირე სიდიდის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო სისტემის მაღალი ელასტიურობით და გამძლეობით, ადვილად ეგუება საბაზრო ურთიერთობებს და სწრაფად რეაგირებს ბაზრის ტენდენციებზე. მთელი რიგი უპირატესობების გამო საქართველოში ფერმერული მეურნეობების გამართული ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს[24]. საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა განვითარებისათვის გეოგრაფიულად ხელშემწყობი პირობები შეზღუდულია. ეს აიხსნება მთაგორიანი რელიეფით, მთიან რეგიონებში სახნავი მიწების მცირე ხვედრითი წილით, ნაკვეთების ვიწრო კონტურიანობით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მრავალფეროვნებით, წარმოების მექანიზაციის სპეციფიკურობით, რომელიც მორგებული უნდა იყოს ნაკვეთების კონფიგურაციას, მთიან რელიეფს, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის თავისებურებებს.

ფერმერული მეურნეობები საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების საწყის სტადიაში იმყოფება. საქართველოში არსებული ფერმერული მეურნეობების უმეტესობა არაა თავმოყრილი ერთად. ისინი ერთმანეთისგან დაშორებულ, განცალკევებულ ფართობებად არის მიმობნეული. აღნიშნული ნაწილობრივ პრივატიზაციის პირველი ეტაპის შედეგია, რითაც საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციას. მაშინ მიწები მისი ხარისხისა და მდებარეობის მიხედვით დარიგდა და ფერმერებმა ვერ შეძლეს მიეღოთ თანაბრად კარგი და ხარისხიანი მიწის ნაკვეთები. აღნიშნული ხელს მნიშვნელოვნად უშლის მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებას. მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ერთ-

[24] ჯახაია ლ. აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემები და მისი დაძლევის პერსპექტივები. ბათუმი 2018

ერთი ძირითადი მაჩვენებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, განსაკუთრებით კი - ინტენსიური სავარგულების ზრდა. არც თუ ისე შორეულ წარსულში, სახნავი მიწების შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სახნავზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენება და მათი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფა იყო. ამჟამად, სულ სხვა მდგომარეობაა. ქვეყანაში მრავალწლიანი ნარგავების ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც თავისთავად სახნავი მიწების ზრდის რეზერვად უნდა მივიჩნიოთ. ,,სახნავი მიწების არაადექვატურად ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მიწის დაცვის და მისი ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების სათანადოდ გაუტარებლობა, რის შედეგადაც ინტენსიური სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობები დაბალინტენსიურ სავარგულებად ტრანსფორმირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსური ღონისძიებების გატარება“. დღეს კი სოფლად ჩამოყალიბებულ არც ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას არამც თუ თავისუფალი სახსრები, არამედ საბრუნავი საშუალებებიც არ გააჩნია და დახმარებას ვერც სახელმწიფოს მიერ გატარებული სხვადსხვა სახის პოლიტიკა უწევს.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფერმის საშუალო სიდიდე 100-500 ჰექტარია, თუმცა არსებობს უფრო დიდი ფერმებიც, რომლებშიც წარმოებას ინდუსტრიული ხასიათი აქვს, საქართველოში კი ფერმერულ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი ძალიან მცირეა და საშუალოდ 1,5-2,5 ჰექტარს შეადგენს. ამ ფართობზე კი მაღალპროდუქტიანი და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოება თითმის შეუძლებელია და მისი გამოყენება ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის ხდება. სასოფლო- სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობების უდიდესი წილი ოჯახურ მეურნეობებზე მოდის. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი კი 6-7%-ის ფარგლებშია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2015-2018 წლების მანძილზე შინამეურნეობების წილი მთლიან აგროსასურსათო წარმოებაში.

ცხრილი 4

ოჯახური მეურნეობების წილი კულტურათა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით მთლიან წარმოებაში, 2015-2018 წლებში (%)[25]

	2015	2016	2017	2018
ხორბალი	70.9	84.7	84.9	88.8
ქერი	98.4	97.3	97.8	94.7
სიმინდი	96.2	94.6	91.3	92.5
ლობიო	100.0	99.8	100.0	99.8
კარტოფილი	99.8	99.0	98.9	99.6
ბოსტნეული	94.0	94.4	86.4	91.6

ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით ოჯახური მეურნეობები ყველა კომპონენტში ფლობენ დიდ ნაწილს, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში არსებული მიწების დაქუცმაცების ფონზე მოწეული პროდუქცია თვითმოხმარებისთვისაა განკუთვნილი და მხოლოდ ნამეტია განკუთვნილი ბაზარზე გასატანად. ასეთი მეურნეობები თავს ვერ იცავენ ბუნებრივი პირობებისგან, არ მიუწვდებათ ხელი კრედიტსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. მცირე ფერმერული მეურნეობების მნიშვნელოვანი პრობლემაა კრედიტების უზრუნველყოფის კუთხით, რაც ხშირად მიწის სიმცირითაა გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში ძალიან ცოტაა სესხის გაცემის მსურველი. აგრეთვე მნიშვნელოვან შემაფერხებელ როლს თამაშობს სუსტი მენეჯმენტი, ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობა, რომელთა აღმოფხვრის შემთხვევაში აგრარულ სექტორს შეუძლია მნიშვნელოვან ეკონომიკურ განვითარებას მიაღწიოს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სოფლებში საკრედიტო კავშირების, ამხანაგობებისა ან კოოპერატივების შექმნა და გამართული ფუნქციონირება, რომლებიც კრედიტს გასცემენ არა მხოლოდ საწარმოო დანიშნულებით არამედ პროდუქციის შესასყიდად, თესლის, სარგავი მასალის,

[25] სტატისტიკური პუბლიკაცია: „საქართველოს სოფლის მეურნეობა“2018.

პირუტყვის შესაძენად და სხვა. მათი შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს კოოპერატივის ძირითადი კაპიტალი, გრძელვადიანი კრედიტი, მოსახლეობის შენატანი და სხვა. ასევე შესაძლებელია იგი რომელიმე კომერციულ ორგანიზაციულ სისტემაში როგორც პარტნიორი ფუნქციონირებდეს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად „კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული, ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე“[26]

კოოპერატივების ჩამოყალიბების მიზანია:

- სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა;
- სიღარიბის აღმოფხვრა სოფლად;
- სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდა.

წამყვანი ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ძლიერი ფერმერული ასოციაციები და კოოპერატივები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ევროკავშირის ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ ძლიერი, კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ ფერმერების მიერ ერთობლივი ძალისხმევითა და საქმიანობებით. ეს კი განაპირობებს სამუშაო ადგილების გაჩენას, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, შიდა მიგრაციის პრევენციასა და ეკონომიკური ბალანსის მიღწევას სოფელსა და ურბანულ დასახლებებს შორის. კოოპერატივების ფორმის აღმოცენება განპირობებული იყო ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მოთხოვნით. მათი განვითარება დაიწყო XIX საუკუნის შუა პერიოდიდან და განპირობებული იყო ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო სისტემისა და სუსტი ეკონომიკური პოტენციალის მქონე წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების სასაქონლო ბაზრებთან, და საკრედიტო რესურსებთან სტაბილური კავშირის დამყარების აუცილებლობით. მსოფლიო

[26] საქართველოს კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ 2013

გამოცდილების მიხედვით კოოპერატივები დიდ როლს თამაშობს კრიზისების დაძლევასა სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში[27].

ურთიერთობები ფერმერებსა და კოოპერატივებს შორის ნებაყოფლობით ყალიბდება და საქმიანობა მიმდინარეობს ხელშეკრულების ფონზე. მაღალგანვითარებული კოოპერატივებით გამოირჩევიან შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, სადაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოების 80% კოოპერატივებშია გაერთიანებული. საერთო ჯამში, ევროკავშირის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 9 მილიონს აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი სამი ფერმერიდან სულ მცირე ორი ერთ რომელიმე კოოპერატივში მაინც არის გაწევრიანებული. ნათელია, რომ ასეთი მაშტაბებით აგრარულ სექტორზე ბევრად მეტი გავლენის მოხდენაა შესაძლებელი ვიდრე ცალკეული, მცირე ფერმერების შემთხვევაში. კოოპერატივები ერთიანი ძალისხმევით იცავენ საკუთარ ინტერესებს და წარმოადგენენ საკმაოდ ძლიერ ეკონომიკურ აგენტს[28].

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საქართველოში კოოპერატივების მნიშვნელობა ან უგულებელყოფილი იყო ან არასწორად იყო გაგებული. მათ ხშირად საბჭოთა კოლმეურნეობასთან აიგივებდნენ. აღსანიშნავია, რომ დღესაც ფერმერთა უმეტესობა კოოპერატივებში ძირითადად გრანტების ან სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად ერთიანდებიან. მხოლოდ მცირე ნაწილი წევრიანდება კოოპერატივში რესურსების გაერთიანების და ბაზარზე წარმატებით გასვლის ეფექტიანი შესაძლებლობების საძიებლად[29].

მსოფლიოს წარმატებული მაგალითების ფონზე ჩვენთანაც მოხდა კოოპერატივების მნიშვნელობის გააზრება, რაც ერთის მხრივ საქართველოს აგრარული სექტორის დასახმარებლად მომუშავე ევროკავშირისა და FAO–ს (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) ექსპერტების ძალისხმევის შედეგია. სწორედ ამიტომ 2013 წელს შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომლის მიზანია სოფლის

---

[27] კოღუაშვილი, მამუკელაშვილი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N2.

[28] სოფლისმეურნეობისკოოპერატივები საქართველოშიhttp://www.interpressnews.ge

[29]ხარაიშვილი„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში - ფერმერთა დამოკიდებულებები და შეფასებები“

მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა[30]. 2013 წლიდან დაიწყო ასევე ევროკავშირის კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამა, რომლისთვისაც გამოიყო 15 მლნ ევროს რაოდენობის გრანტი. პროექტს ახორციელებდდნენ შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციები: oxfam(დიდი ბრიტანეთი), care(ავსტრია), people in need და mercy corps(შოტლანდია). პროექტში ჩართული იყო 16 ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ასოციაციები და აკადემიური დაწესებლებები[31].

2017 წლის მონაცემების მიხედვით ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებულია 262 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელზეც განხორციელდა 11, 995 753 ლარის ინვესტიცია. კოოპერატივების კვლევის შედეგების მიხედვით 2017 წლისთვის კოოპერატივების უმრავლესობის საქმიანობის სფერო წარმოადგენს შედეგ მიმართულებებს: მეფუტკრეობა, მეთხილეობა, მემარცვლეობა, მევენახეობა, მეკარტოფილეობა, კებოსტნეობა, და კენკრის წარმოება. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა 2014-2016 წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. თაფლის წარმოება 24 ტონიდან გაიზარდა 72 ტონამდე, კარტოფილის 453-დან 4643 ტონამდე, ბოსტნეულის 79-დან 553 ტონამდე, თხილის 256-დან 682 ტონამდე, სიმინდის 683-დან 1830-მდე.(იხ.ცხრილი 5)

ცხრილი 5

ENPARD-ის მხარდაჭერილი კოოპერატივების მიერ წარმოებული ძირითადი პროდუქტები 2014 2016 წლებში[32].

წელი	2014	2015	2016

[30] საქართველოში ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება 2017 წელი

[31] ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის პროექტი საქართველოში „კოოპერატივები, ახალი გზა სოფლის მეურნეობაში“ acda.gov.ge

[32] კოჭლამაზაშვილი ირ. კოოპერატივების ყოველწლიური გამოკითხვის შედეგების წარდგენა 2017წ.

	წარმოების მოცულობა (ტონა)	წარმოების საშუალო მოცულობა ერთ კოოპერატივზე	წარმოების მთლიანი მოცულობა	წარმოების საშუალო მოცულობა ერთ კოოპერატივზე	წარმოების მოცულობა (ტონა)	წარმოების საშალო მოცულობა ერთ კოოპერატივზე (ტონა)
თაფლი	24 1,25%	1,1	55 2,75%	1,8	72 3,4%	1,6
კარტოფილი	453 0,215	91	1815 0,97%	130	4643 1,86%	186
ბოსტნეული	79 0,05%	8,7	167 0,11%	8,4	553 0,39%	16,3
თხილი	256 0,76%	28,8	322 0,91%	32,2	681 2,31%	34,1
სიმინდი	683 0,23%	97,5	969 0,52%	64,6	1830 0,75%	63

ცხრილის მონაცემების მიხედვით, მოცემული პროდუქციის წარმოება 3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ამას გარდა გაზრდილია დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც 2014 წელთან შედარებით(215 დასაქმებული) გაიზარდა 1062-მდე. 2016 წლის მონაცემებით კოოპერატივთა უმრავლესობა პროდუქციას ყიდიდა ადგილობრივ ბაზარზე, რეგიონის მასშტაბით. მათმა 31%-მა გაიტანა პროდუქცია რეგიონის გარეთ, ხოლო 9 კოოპერატივის პროდუქცია გავიდა ექსპორტზე.

2018 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით სულ რეგისტრირებულია 1106 სასოფლოსამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი, რომელთა რაოდენობა 2017 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით 200-ზე მეტი ერთეულითაა შემცირებული. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია რიგი კოოპერატივებისთვის სტატუსის

შეწყვეტით. 2018 წელს კოოპერატივთა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში შემდეგი სახით გამოიყურება:

ცხრილი 6

კოოპერატივების რაოდეობა რეგიონულ ჭრილში- 2018წელს[33]

კახეთი	**120**
ქვემო ქართლი	**126**
მცხეთა-მთიანეთი	**55**
შიდა ქართლი	**86**
სამეგრეო ზემო-სვანეთი	**100**
გურია	**44**
აჭარა	**84**
სამცხე-ჯავახეთი	**221**
იმერეთი	**122**
რაჭა-ლეჩხუმი	**97**
თბილისი	**51**

სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

- თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით;
- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა;
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამა;

[33] სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო http://acda.gov.ge/

- კოოპერატივების ტექნიკური დახმარების პროგრამა.
- მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა.

„თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით“ , რომელიც დამტკიცდა 2015 წელს და მისი მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა, მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩალში აშენდა და შესაბამისი ტექნიკით აღიჭურვა თხილის სასაწყობე და საშრობი ინფრასტრუქტურა, რომელიც ყოელდღიურად 24 ტონა თხილის გაშრობის შესაძლებლობას იძლევა. იგი აერთიანებ 500-ზე მეტ მეპაიეს და გათვლილია 500 ტონამდე თხილის შესანახად.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზანია საფუტკრე მეურნეობების ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლის ხარისხის გაუმჯობსება და რაოდენობის ზრდა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სკები, და 2200 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ჭურჭელი 70%-იანი თანადაფინანსებით გადაეცათ. პროგრამაში მონაწილეს უფლება აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში წარმოადგინოს მის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში უსასყიდლოდ. 2016 წელს მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 164 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 13 936 სკა, 28 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს 28 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი), ასევე 27 კოოპერატივმა მიიღო ჯამურად 61 400 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ავზები.

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რძის მიმღები და გადამამუშავებელი დანადგარები გადაეცა 9 კოოპერატივს. კოოპერატივებმა, ასევე მიიღეს ნედლი რძის კონტროლის ლაბორატორიული ხელსაწყოები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებისა, პროდუქტიულობის ამაღლების ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობა.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამა“ თვალისწინებს აგროტექნიკის შეღავათიან ფასად, 900 ლარად გადაცემას, რაც მისი ღირებულების 24%-ს შეადგენს. დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას დამატებით გადაეცემათ 1 ხელის სათესი 1 ლარად.

კოოპერატივების ტექნიკური დახმარება გულისხმობს ტექნიკურ ტრენინგებს დარგობრივ მიმართულებებზე. კოოპერატივების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ სასწავლო სემინარს, რომელიც სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და ჩინური მხარის, შპს „ჰუნანის” სოფლის მეურნეობის ჯგუფის მხარდაჭერით გაიმართა. 11 კოოპერატივის წარმომადგენელს საშუალება მიეცა წასულიყო სასწავლო ტურით ესტონეთში, 2 კოოპერატივის წარმომადგენელი კი- ამერიკის შეერთებულ შტატებში ადგილობრივი კოოპერატივების მეურნეობების დათვალიერებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კახეთის რეგიონში, თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყურძნის გადამამუშავებელი 3 საწარმო გაიხსნა, რომლებშიც გაერთიანებულია 60-ზე მეთი მეპაიე, ხოლო ვენახის საერთო ფართობი 70 ჰექტარია. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით სულ რეგისტრირებულია 1,352 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი, რომელთა მიერ მობილიზებულია 16,941 ჰექტარი მიწის ფართობი[34].

მსხვილ თუ მცირე ფერმერულ მურნეობათა განვითარებისთვის ნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებები და მიმართულებები, რომელთაგან ზოგიერთი უკვე აქტიურად დგას დღის წესრიგში:

- სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ახალ ტექნოლოგიებზე მორგებული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა;

[34] სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოhttp://acda.gov. / ge

- წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე გადაყვანა;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგება;
- არსებული სარწყავი სისტემის მზადყოფნაში მოყვანა.

საქართველოში ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებისთვის 2017 წელს განხორციელდა კვლევა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან - ,,People in Need" თანამშრომლობით. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს იმერეთისა და რაჭის რეგიონში კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებას ფერმერთა შეხედულებებზე დაყრდნობით. კვლევის ძირითადი ამოცანები იყო:

- პოლიტიკის და არსებული პროგრამების მიზნებისა და პროცედურების შეფასება;
- ფერემების მიზნობრივი პროგრამების ინფორმირებულობის, მოლოდინების, დამოკიდებულებების, საჭიროებების ტენდენციების დადგენა; არსებული პოლიტიკის შეფასება;
- გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება

კვლევის შედეგები ასახავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: კოოპერატივების განვითარების არსებული მდგომარეობის შეფასება, ფერმერთა დამოკიდებულება კოოპერატივების მიმართ და არსებული საჭიროებები, სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და მისი პროექტების ზეგავლენის შეფასება და ა.შ.

კოოპერატივის გამოკვლეულ წევრ რესპოდენტთა ნახევარზე მეტი აღნიშნავდა, რომ მათ კოოპერატივი შექმნეს გრანტის მისაღებად ანდა შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. შედარებით მცირე ნაწილისათვის კი ძირითადი მამოძრავებელი ძალა ერთობლივი წარმოების შედეგად მიღებული უკეთესი შედეგებია. ასეთი განზრახვით შქმნილი კოოპერატივები, ძირითადად მცირე ზომის არიან და წარმოადგენენ მცირე სამეზობლოს, სანათესაოს ანდა სამეგობროს ფორმალურ

გაერთიანებას, რომლებსაც ჰქონდათ ერთობლივად საქმიანობის გაწევის პოზიტიური გამოცდილება. ფერმერთა საკმაოდ დიდი ნაწილი კვლავ ეჭვის თვალით უყურებს კოოპერაციის იდეას და ის კვლავ კოლექტიურ კოლმეურნეობასთან ასოცირდება.

კოოპერატივების გამოკვლევისას ფერმერებმა დაასახელეს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კოოპერატივების დადებით მხარედ ასახელებენ: რესურსების გაერთიანებას, ხარჯების შემცირებას, სახელმწიფო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, გაფართოების შესაძლებლობა და სხვა. კოოპერატივების უარყოფითი მხარეებიდან გამოყოფენ: მენეჯმნტისა და ბუღალტერიის სირთულეს, ახალი წევრების მოზიდვის სირთულეს, ბიუროკრატიას, ასოცირებას საბჭოთა კოლმეურნეობასთან.

კვლევამ აჩვენა, რომ კოოპერატივები ძირითად ინფორმაციას ირებენ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამახურებიდან, როგორც საგრანტო პროგრამების, ასევე სახელმწიფო თუ საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ. ფერმერების და ასევე დაინტერესებული მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

2.2 ფერმერული მეურნეობების ეფექტიანი ფუნქციონირების შესაძლებლობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მცირე ფერმერული მეურნეობები დომინირებს, რაც ართულებს ინვესტიციების მოზიდვას, საჭირო ინფრასტრუქტურული ზომების გატარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და რეფორმების განხორციელებას. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით მეურნეობების რაოდენობა 642,2 ათასია, მათგან შინამეურნეობების რაოდენობა 640 ათასია, 2,2 ათასი კი იურიდიული პირი. რეგიონების მიხედვით ფერმერული მეურნეობების ყველაზე მეტი რაოდენობა ფიქსირდება კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში მათი უდიდესი ნაწილი კი მცირემიწიანია. 73%-ზე მეტი ფლობს 1 ჰექტარზე ნაკლებ მიწას. მათში შედის ყველა მეურნეობა, რომელსაც აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ჰყავს საქონელი, ფრინველი და სკები. ასეთი მეურნეობები ხელს ვერ უწყობენ აგრარული სექტორის განვითარებას, რადგან ორიენტირებულია საკუთარ მოხმარებაზე. ამიტომაცაა, რომ მიზნობრივი პოლიტკის მიუხედავად. თანამედროვე და

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება ასეთ მეურნეობებში ვერ ხერხდება ფინანსების სიმცირის გამო. ასეთ მეურნეობებში ასევე შეუძლებებლია მსხვილი ინვესტიციების განხორციელება, თუ ისინი წარმოდგენი არ არიან კოოპერატივების სახით.

ფერმერულ მეურნეობების ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანი მექანიზმია აგრარული სექტორის განვითარების საქმეში. მათი საქმიანობა საქართველოში არაა ისეთი დონის, რომელიც ბიძგს მისცემდა აგრარული სექტორის განვითარებას. ფერმერული მეურნეობების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის დანაწევრებული მიწის ნაკვეთები. ამას ემატება ისიც, რომ წლიდან წლამდე მცირდება ნათესი მიწის ფართობი და მათ შორის საშემოდგომო და საგაზაფხული კულტურების მოყვანა. 2013 წლიდან ნათესი ფართობების შემცირებას უცვლელი ხასიათი აქვს, 2013 წელს არსებული 310 ჰა ნათესი ფართობი 2018 წლისთვის შემცირდა 207 ჰა-მდე.

ცხრილი 7

ნათესი ფართობების სტატისტიკა 2013-2018 წლები(ათასი ჰექტარი)[35]

	2013	2014	2015	2016	2017	2018
ნათესი ფართობი სულ	310,7	274,9	263,7	263,7	220,3	207,1
საშემოდგომო (ხორბალი, ქერი)	52,5	58,4	56,2	60,5	53,6	54,5
საგაზაფხულო (ხორბალი ქერი,ჭვავი, შვრია, სიმინდი,	258,2	216,5	207,5	179,5	166,6	152,7

[35] სტატისტიკური პუბლიკაცია: „საქართველოს სოფლის მეურნეობა“2018

პარკოსანი კულტურები)						
კარტოფილი ბოსტნეულ-ბაღჩეული	48,6	41.2	43,8	38,9	37,0	34,3
სხვა კულტურები	25,8	20,8	21,0	21,1	21,3	19,6

ცხრილიდ ვხედავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობები 2013-2018 წლებში ძირითადად შემცირებით ხასიათდება რამაც გამოიწვია ნათესი ფართობების საერთო რაოდენობის შემცირება, რამაც 5 წლის განმავლობაში 103(33%) ჰექტარი შეადგინა.

ფერმერთა სტიმულირებისთვის 2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი დაიწყო, სუბსიდიის სახით გამოიყო 300 მილიონამდე ლარი. პროექტში, 800 000-მდე ფერმერმა მიიღო მონაწილეობა. ფერმერებმა, რომლებსაც გააჩნდათ 0.25-დან 1.25 ჰექტარის ჩათვლით სახნავი მიწის ფართობი ან მრავალწლიანი ნარგავები, მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ბარათი 510 ლარამდე მოცულობით, რომელიც მოიცავდა ნიადაგის ხვნას, გაფხვიერებას და სასოფლო-სამეურნეო საქონელსა და ინვენტარს. 1.25 ჰა-დან 5 ჰა-მდე აღნიშნული თანხა შედგენდა 640 ლარს. პროგრამა განსაკუთრებით პროდუქტიაული აღმოჩნდა და 2013 წელს სექტორს 11%-იანი ზრდა მოუტანა, 2014-2015 წლებში ზრდის ტემპი 1,5%-მდე შემცირდა 2017-2018 წლებში კი სექტორი დაახლობით 3%-მდე კლებას განიცდიდა. 2016 წლიდან წარმოება შემცირდა დაახლოებით 100 მილიონი ლარით. შემცირდა ასევე ნათესი ფართობები და პირუტყვის სულადობა[36]. გარდა ამისა 2015-დან 2018 წლამდე შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში.

[36] სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge

ცხრილი 8

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან მიღებული შემოსავლები და მისი წილი შინამეურნეობათა ფულად შემოსავლებში.2015-2018 წლებში[37].

	2015	2016	2017	2018
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შენამეურნეობების ფულად შემოსავლებში (%)	7.1%	6.4%	4.7%	5.5%
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალო შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)	68.5	63.0	48.8	57.4

ცხრილის მონაცემების მიხედვით შინამეურნეობების შემოსავლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი, ისევე როგორც თავად ეს შემოსავლები 2015-2017 წლებში მცირდებოდა, სხვადასხვა პროგრამის მიუხედავად, რომლებიც ხორციელდებოდა სპეციალურად მეურნეობათა დასახმარებლად. ყველაზე მაღალი შედეგი დაფიქსირებულია 2015 წელს, რაც ერთის მხრივ გამოწვეული იყო ამ წელს სოფლის მეურნეობაში ჩადებული ინვესტიციების ზრდით, რომელმაც 18 მლნ ლარი შეადგინა. ამის შემდეგ ვხედავთ შემცირების ტენდენციას, რომელიც მცირედითაა გაზრდილი 2018 წელს, რაც კვლავაც დაკავშირებულია ამ წელს ინვეტიციათა რაოდენობისა და წარმოების დონის შედარებით ზრდასთან, რომელიც წინა წელთან შედარებით 6,4%-ითაა გაზრდილი.

ფერმერული მეურნეობების ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, რომელიც წარადგენს „ქოლგა“

[37] საქართველოს სოფლის მეურნეობის 2018 წლის პუბლიკაცია geostat.ge

ორგანიზაციაა და აერთიანებს 600-ზე მეტ წევრს. ასოციაცია წარმოადგენს ფერმერთა კანონიერ ინტერესებს და ახდენს ზეგავლენას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ქვეყნის აგრარულ სექტორში საახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესში ფერმერთა აქტიური ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის საბჭომ მიიღო გააწყვეტილება ფერმერთა სათათბიროს შექმნის შესახებ. სათათბიროს წევრ ფერმერებს, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან უფლება აქვტ მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის დარგისა და ფერმერთა მდგომარების გაუმჯობესების მიმართულებით პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ასოცოაცია ეწევა საადვოკატო საქმიანობას, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დაბეგვრა კოოპერატივებისთვის;
- ცვლილებები კანონში კოოპერატივების შესახებ;
- ცვლილებები საგადასახადო კოდექსში;
- კონსულტაციები და ლობირება კოოპერატივების წევრებისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესყიდვის შესახებ და სხვა.

წევრები და დაინტერესებული მხარეები სარგებლობენ ასოციაციის მრავალფეროვანი მომსახურებით, როგორებიცაა ბაზრის კვლევა, ყოველთვიური ანგარიშები, კერძი სექტორის საჭიროებათა შეფასება და სხვა[38]. ასოციაციის გამოწვევაა ფერმერების მრავალპროფილურობა მიზანი კი მათი დახმარება და უფლებების დაცვა, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ გამოწვევებზე მორგებული მრავალმხრივი საჭიროებები. 2017 წლის ბოლოს საქართველოს ფერმერთა ასოციაცია მოიცავდა 1134 დამოუკიდებელ წევს ფერმერს და 182 კოოპერატივს. ასოციაციას ყველაზე მეტი ფერმერი ჰყავს სამეგრელო-ზემო სვანეთიდან 27.3%, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთიდან 15.5%. წევრ ფერმერების ყველაზე დიდი ნწილი დაკავებულია მეცხოველეობით(32%), ამას მოსდევს მეფუტკრეობა, მევენახეობა და მეხილეობა.

[38] საქართველოს ფერმერთა ასოციაცია gfa.org.ge

ფერმერთა ასოციაციის ფერმერთა რაოდენობა საქმიანობის მიხედვით 2017 წელს[39]



დიაგრამა 2

ასოციაციის მიერ შეიქმნა მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“ ფერმერებისთვის, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ სისტემას, რომელიც ფერმერს აძლევს მის მიერ წარმოებული პროდუქტის გასაღების, ახალ ბაზარზე გასვლისა და დაკავშირების საშუალებას. აპლიკაციის საშუალებით ფერმერს შეუძლია განათავსოს ინფორმაცია თავისი პროდუქციის შესახებ, მიიღოს ინფორმაცია ფასების, კვლევების, სერტიფიცირების, აგროდაზღვევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

აგრარულ საკითხებზე აქტიურად მუშაობს აგრარულ საკითხთა კომიტეტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სექტორში მისაღებ კანონმდებლობაზე. იგი ჩართულია რიგ კანონპროექტებზე მუშაობაში:

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“
- „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი განვითარების შესახებ“

[39] საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 2017 წლის ანგარიში

კანონპროექტის მიღების მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპებისა და მიწის მდგრადი მართვის სახლმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების გამჭირვალე და ერთიანი სისტემის შექმნა;

- „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის მიღების მიზანია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განისაზღვროს რეგულირებადი პროფესიები.[40]

აღსანიშნავია, რომ მიწების დიდი ნაწილი მფოლებელთა დიდ რაოდენობას დღესაც არ აქვს რეგისტრირებული, რაც ართულებს ზუსტი მონაცემების მიღებას და სამიზნე ჯგუფების ზუსტად შერჩევას. 2016 წლიდან ამოქმედდა კანონი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს. მარტივი რეგისტრაციის პრობლემების აღმოსაფხვრელად მომზადდა სპეციალური კანონი, რომლითაც[41]:

- შემუშავდა საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი;
- სახელმწიფო მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში ეხმარება;
- სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაში ეხმარება;
- სახელმწიფო მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში ეხმარება.

2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, მიწის რეგისტრაციის 2016 წლის რეფორმის ფარგლებში, 543 139-მა ფიზიკურმა პირმა დაარეგისტრირა 130 943 ჰა მიწა; 1 431-მა იურიდიულმა პირმა კი 1 793 ჰა. საჯარო საკუთრებაშ მოექცა 169 241 ჰა მიწა. დღეისთვის რეგისტრირებული მიწის მთლიანი ფართობი მოიცავს 1 514 149 ჰექტარს, რაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ 45%-ია, დანარჩენი 55% არაა

[40] საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის საქმიანობის ანგარიში გვ.6
[41] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო napr.gov.ge

რეგისტრირებული[42]

ფერმერული მეურნეობების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობები განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებიან და ჯერ კიდევ არ უკავიათ სათანადო ადგილი საბაზრო ურთიერთობების მქონე ეკონომიკაში. საქართველოში ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ გამოყენებული ფართობი 1,5 ჰა-ს შეადგენს. ამ მჩვენებელს თუ შევადარებთ მსოფლისო სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებს მივიღებთ შემდეგ სურათს, იგივე მაჩვენებელი ბალტიისპირეთის ქვეყნებში შეადგენს 25 ჰა-ს, აზერბაიჯანში 4 ჰა-ს, მოლდავეთში 3 ჰა-ს, უკრაინაში 22 ჰა-ს, სომხეთში 1,5 ჰა-ს, ყაზახეთში 44 ჰა-ს. ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში ფერმერული მეურნეობები მკაფიო განსაზღვრება არსებობს და აშკარადაა გამიჯნული როგორც ერთმანეთისგან ისე ყველაფრისგან და რიგი შეღავათებით სარგებლობენ. საქართველოში კი სათანადო იურიდიული ბაზის არარსებობის გამო მკვეთრად არაა ერთმანეთისგან გამიჯნული ფერმერული და საოჯახო მეურნეობები. სათანადო საკაკნონმდებლო ბაზის შექმნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობების მიზნობრივი განვითარებისთვის.

ფერმერულ მეურნეობათა განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობები საქართველოში მეტნაკლებად შეზღუდულია, რაც გამოწვეულია საქართველოს მთაგორიანი რელიეფით, სახნავი მიწების მცირე ხვედრითი წილით, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მრავალფეროვნებით და სხვა თავისებურებებით[43]. ამ და სხვა ფაქტორებთან ერთად გასათვალისწინებელია ასევე არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

2013 წელს მიღებული იქნა კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია რომ: „საადგილმამულო მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს. საადგილმამულო მეურნეობა შეიძლება არსებობდეს

[42] აგრომიმოხილვა, თებერვალი 2019 iset.pi.ge

[43] გიორგაძე, ,,გლეხური ფერმერული მეურნეობების საწარმოო პოტენციალი და მისი რაციონალური გამოყენება”. თბილისი 1997 გვ 84-85.

საკომლო(გლეხური ფერმერული) მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით.[44]“ მნიშვნელოვანია გამოიყოს განსხვავება გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებს შორის. ფერმერულ მეურნეობებთან შედარებით გლეხურ მეურნეობებს უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს და წარმოადგენს უფრო ტრადიციულ ორგანიზაციულ ფორმას. გლეხურ მეურნეობებს ძირითადად სოფლის გლეხთა სოციალური ფენა წაროადგენს, ფერმერული მეურნეობა კი შეიძლება წარმოდგენილი იყოს არამხოლოდ სოფლის გლეხთა მიერ, აგრეთვე ქალაქის სხვადასხვა წარმომედგენელთა მიერ. მათი განმასხვავებელი კიდევ ერთი ნიშანია სამუშაო ძალის გამოყენების ხასითი. გლეხური მეურნეობები სამუშაო ძალას იყენებენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, სეზონურად, ასევე აღსანიშნავია, რომ გლეხურ მეურნეობებში აქტიურად არიან დასაქმებული მეურნეობის მფლობელის ოჯახის წევრები. ფერმერული მეურნეობები კი კი სამუშაო ძალას ხშირ შემთხვევაში მუდმივად იყენებენ და ისინი ჩართული არიან წარმოების მთელ ჯაჭვში.

მეურნეობების მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორია წარმოების დონე. გლეხური მეურნეობები ძირითადად ორიენტირებული არიან საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მიმართულ წარმოებაზე და გასაყიდად გააქვთ მოლოდ წარმოების ნამეტი, ამასთან მათი ისინი გამოირჩევიან მრავალფეროვანი მიმართულებებით ფერმერულ მეურნეობებთან შედარებით. ფერმერული მეურნეობები ორიენტირებული არიან ძირითადად სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე და მოტივირებული არიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკუთარ წარმოებაში დანერგვაზე, რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს მათ გლეხური მეურნეობებისგან, რომლებიც ძირითადად არასაკმარისი სახსრების გამო ტრადიციულ საშუალებებს მიმართავენ[45].

საქართველოში ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება ხდება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო კოოპეტარივების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. საქმე ეხება 700 ათასამდე ფერმერულ მეურნეობას, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსები და

---

[44] საქართველოს კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ 2013 .

[45] ვაშაკიძე, „გლეხური თუ ფერმერული მეურნეობა“, გაზეთი ,,ფინანსები,

გამოცდლება, რომ საკუთარი ძალისხმევით განვითარდნენ. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ვალდებულია ქმედითი დახმარება გაუწიოს მათ ფინანსური და ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში, რაც დიდწილადაა დამოკიდებული აგრარულ სექტორში მიზანმიმართული საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებაზე.

აგრარული სექტორის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო რეგულირებისა და სწორი დარგობრივი პოლიტიკის გატარების გარეშე.ასეთი პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი სწორი მიდგომა. მსოფლოს განვითარებულ ქვეყნებში მიწა აღიარებულია ეროვნულ სიმდიდრედ და სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის აუცილებელია მისი გონივრულად განკარგვა. ზემოაღნიშნულში ნაგულისხმევია მიწის ბაზრის მართვა და მისი ექპლიოატაციის საკითხები. ამგვარი მიდგომა ხელს უშლის მიწების დაქუცმაცებას და ასევე გაუმართლებელ გამსხვილებას.ასევე მნიშვნელოვნად კონტროლდება მიწების გასხვისების საკითხიც[46].

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებას არეგულირებს საქართველოს კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1996 წელს, ხოლო 2007 წელს კანონის მე-4 მუხლის ა-ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილების შემდეგ იგი ასე ჩამოყალიბდა: ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ასევე ამ მუხლის 11 , 12 და 13 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. ამასთანავე, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვს მხოლოდ იმ სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს - აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს

[46] ბურკაძე ვ., ქეშელაშვილი ო, „საქართველო მსოფლისო გლობალიზაციის წრედში" შრ კრ. 2016.

მოქალაქე“[47]. სტრატეგიული მნიშვნელობის მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს 2017 წლის ივნისში ქვეყანაში მიღებული ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების“ მორატორიუმის პროცესი. რითაც კანონში ცვლილებების განხორციელებამდე შეუძლებელი იქნება მათი გასხვისება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირემიწიანი აგრარული ქვეყნებისათვის. ზოგადად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ასეთი მიწის გასხვისების აკრძალვის მთავარი დანიშნულება სახელმწიფოს საჯარო ინტერესის დაცვა და უფრო მდიდარი ქვეყნების მოქალაქეთა მიერ იაფი მიწის მასობრივი შესყიდვის თავიდან აცილებაა, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელთა საკუთრების უფლების შეზღუდვის მიზანია მიწის, როგორც ამოწურვადი რესურსის, რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობის უზრუნველყოფა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება. გასათვალისწინებელია სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის სტრატეგიული მნიშვნელობა ქვეყნის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, ეკონომიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური, დემოგრაფიული და კლიმატური პროცესების გათვალისწინებით, სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ქვეყნის მოსახლეობის შესაძლო სასურსათო პრობლემისაგან დაცვის თვალსაზრისით[48].

[47] საქართველოს კანონი „ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ 2007.
[48] საქართველოს კანონი „ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებსი მიწის საკუთრების შესახებ“.

თავი 3. აგრარული სექტორის სახელმწიფო რეულირებისა და მხარდაჭერის მსოფლიო გამოცდილება.

3.1 სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტები აგრარულ სექტორში

აგრარული სექტორის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია უკიდურესი სიღარიბის აღმოსაფხვრელად, რომელიც სამწუხაროდ მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. გამოკვლევების მიხედვით 2050 წლისთვის მოსალოდნელია მსოფლიო მოსახლეობის 9.7 მილიარდამდე ზრდა. 2016 წლის მონაცემების მიხედვით სიღარიბეში მყოფი, ზრდასრული მოსახლეობის 65% საარსებო მინიმუმს გამოიმუშავებს სოფლის მეურნეობაში მუშაობით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორს სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ, ატარებენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს მისი განვითარებისთვის. რეგულირების სხვადასხვა ასპექტების მიუხედავად სექტორის განვითარებას აფერხებს და საფრთხეს უქმნის კლიმატის ცვლილება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემაა და არამარტო სოფლის მეურნეობაზე მოქმედებს უარყოფითად. კლიმატის სერიოზული ცვლილებები ასევე უარყოფითად მოქმედებს აგრარული სექტორის პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე. მსოფლიო მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი იკვებება არასრულფასოვანი ან არასაკმარისი პრუდუქტით, რაც სიკვდილიანობის გამოწვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. 2018 წლის კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ 2017 წელს მშიერი და არასაკმარისი საკვებს მქონე ადამიანთა რიცხვი გაიზარდა თითქმის 821 მილიონამდე, 2016 წელთან შედარებით, როდესაც ასეთი ადამიანების რიცხვი 804 მილიონს შეადგენდა.[49]

მსოფლიო ორგანიზაციები მუშაობენ ქვეყნებთან, ინოვაციების ინფრასტრუქტურისა და რესურსების უზრუნველყოფის საკითხებში სასოფლო-

[49] (worldbank)

სამეურნეო სექტორში. მნიშვნელოვანი სტრატეგიები რაც შემუშავებულია აგრარული სექტორის უკეთესი განვითარებისთვის მსოფლიო დონეზე არის:

- საარსებო საშუალებების გაუმჯობესება და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა ქალებისა და ახალგაზრდებისთვის;
- აგრარული სექტორის თანამედროვე გამოწვევების მიხედვით განვითარება და სექტორში არსებული ღირებულების ჯაჭვის ჩამოყალიბება;
- სურსათის უსაფრთხოება, საკმარისად უსაფრთხო და შესაბამისი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტის წარმოება ყველგან და ყველასთვის;
- კლიმატის ცვლილების და მისი გავლენის შემცირება აგრარულ სექტორზე.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) გენერალურმა დირექტორმა ჟაკ დიუფმა, მაღალი დონის ექსპერტთა ფორუმზე „როგორ გამოვკვებოთ მოსახლეობა 2050 წლისთვის“ 2009 წელს , რომელშიც მონაწილეობას იღებდა 300 დელეგატი მსოფლის სხვადასხვა ქვეყნიდან, განაცხადა, რომ: 40 წლის შემდეგ მოსახლეობის ზრდის, შემოსავლების მკვეთრი გადიდებისა და ურბანიზაციის ერთობლივი ეფექტი პროგნოზების მიხედვით მიგვიყვანს სურსათზე, საქონლის საკვებისა და ნედლეულზე მოთხოვნილების გაორმაგებასთან. სოფლის მეურნეობას არ რჩება მეტი არჩევანი, გარდა იმისა, რომ გახდეს უფრო ეფექტიანი“. მან ასევე აღნიშნა, რომ- „სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა უნდა მოხდეს ძირითადად ნათესების მოსავლიანობისა და ინტენსივობის ზრდის ხარჯძე და არა ფერმერული მეურნეობების ფართობების გადიდების ხარჯზე. ნაციონალურმა სასურსათო პოლიტიკამ, FAO-ს განმარტებით, უნდა მიაღწიოს თვითუზრუველყოფის მაღალ ხარისხს, რადგან სწორედ მოხმარებული სასურსათო პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზეა დამოკიდებული ერის ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა და ცხოვრების ხანგრძლივობა.

„საურსათო უსაფრთხოების“ ცნება 1970-იან წლებში გაჟღერდა, მოგვიანებით კი მიღებული იქნა რომის დეკლარაცია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებზე, რომლის თანახმად სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის თითოეული მოქალაქის ხელმისაწვდომობას საკმარისი რაოდენობის ისეთ სურსათზე, რომელიც უზრუნველყოფს მის ჯანმრთელობასა და სოციალურ განვითარებას. დეკლარაციის

მიხედვით: „თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგია მისი რესურსებიდან და ინდივიდუალური მიზნების მიღწევის უნარიდან გამომდინარე,თანაც პარალელურად უნდა მონაწილეობდეს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობაში სასურსათო უსაფრთხოების გლობალური პრობლემების თაობაზე კოლექტიური გადაწყვეტილებების გამოსამუშავებლად, უნდა გაატაროს კვების სფეროში ისეთი პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება სიღარიბისა და უთანაბრობის აღმოფხვრა, ყველასთვის და ყოველთვის საკმარისი სასურსათო კალათით და უსაფრთხო კვებით უზრუნველყოფა, შესაბამის სურსათზე ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა“.

გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია(FAO) მას შემდეგნაირად განმარტავს: „სასურსათო უსაფრთხოება არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისთვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე სურსათზე“.

ვინაიდან საქართველო მსოფლიო ეკონომიკის ნაწილია, ვერ განერიდება არნიშნულ პრობლემას. ზემოთ აღნიშნულიდან გმომდინარე საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ცოდნასა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე დაფუძნებული მოდელი, რომელიცუზრუნველყოფს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სურსათის შექმნას მოსახლეობისთვის.[50] 2012 წლიდან დაიწყო და გრძელდება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავდა სურსათის უვნებლობის განვითარების სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა. იგი გააზრებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კონტექსტში და უზრუნველყოფს როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ სრულყოფას. მიღებულ იქნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცეარეთა დაცვის კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები. „სურსათის ეროვნულ სააგენტოში“ ჩამოყალიბდა უწყვეტი ტრენინგებისა და სწავლებების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს უფლებამოსილი პირების ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლებას. საქართველო-

[50] ხარაიშვილი ეთერი, სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები: საქართველო-ისრაელის შედარებითი ანალიზი 2017წ.

ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ეფექტიანი განხორციელებისთვის და ამ შეთანხმებიდან სარგებლის მაქსიმიზაციისთვის, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით და დამხმარე ინსტრუმენტების შემუშავება, რათა ამ მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულო იყოს[51].

2017 წელს DCFTA ვალდებულებების შესრულების მიზნით:

- მომზადდა ცვლილებები სურსათის უვნებლობის სფეროს მარეგულირებელ საქართველოს მთავრობის 3 დადგენილებაში, საკანონმდებლო ბაზის უზრუნველსაყოფად;
- საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის 17 სამართლებრივ აქტთან სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროში.
- მომზადდა საქართველოს კანონი N1646-07/12/2017 „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“.

სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმები:

- მოხმარებული სასურსათო პროდუქციის მთელი მოცულობის 75-80% უნდა იწარმოებოდეს სამამულო მწარმოებლების მიერ;
- მოსახლეობა უნდა მოიხმარდეს ბიოლოგიურად სრულფასოვან პროფუქტს, კალორიულობის რეკომენდირებული დონით-საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დღეღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა, არანაკლებ 2500 კალორიას უნდა შეადგენდეს;
- სასურსათო მარაგების შექმნა უნდა განხორციელდეს მთელი მოხმარებული პროდუქციის მოცულობის 20%-ის დონეზე.

სასურსათო უსაფრთხოება მოცავს შემდეგ კომპონენტებს:

[51] სტატია: კოღუაშვილი ჩხეიძე, agronews.ge „სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა“ agronews.ge

- **მოსახლეობის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის სურსათით,** რომელიც მიიღწევა ადგილობრივი სასურსათო წარმოებით (თვითუზრუნველყოფა).
- **მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი და დაბალანსებული სურსათით.** მოსახლეობისთვის მიწოდებული სურსათი უნდა იყოს სათანადო რაოდენობის, რომ უზრუნველყოს ორგანზმის დაბალანსებული კვება.
- **მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი და დაბალანსებული სურსათით.** იმისთვის, რომ სურსათი არ შეიცავდეს ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ ნივთიერებებს აუცილებელია მისი მონიტორინგი „სურსათის უნებლობის“ კანონის შესაბამისად. ამასთანავე მნიშვნელოვანია სურსათის „მიკვლევადობის განხორციელება.
- **მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით.** ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე, რომელიც მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის კვლავაც პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2020 წლების აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებში ერთ-ერთი სწორედ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. 2018 წელს მიღებული იქნა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა, რომლის საფუძველია სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის სოფლის მეურნეობის ბიუჯეთიდან, რომელიც მთლიანობაში 285 მლნ ლარს შეადგენს, სურსათის უვნებლობის მიმართულებაზე გეგმით გათვალისწინებულია 68 მილიონი, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებთ(36 მლნ.ლარი) თითქმის 88%-ითაა გაზრდილი.

2018 წელს მიღებულ სურსათის უვნებლობის კოდექსით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებების მოწესრიგება:

- სურსათის წარმოების, ასევე პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნესოპერატორის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრა;
- მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების შემცირება;
- მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. [52]

სოფლის მეურნეობის უწყებაში შემავალი სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით სახეზეა შემდეგი ცვლილებები:

- ევროკავშირმა საქართველო შეიყვანა ქვეყნების ჩამონათვალში, საიდანაც ევროკავშირის ტერიტორიაზე დაშვებულია თევზისა და თევზის პროდუქტების იმპორტი;
- 2017 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ცვლილებები „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში“, რომლის მიხედვითაც იკრძალება რძის ფხვნილისგან ყველის წარმოება;
- 2017 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა „ სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N 262 დადგენილება. ახალი რეგულაციის მიხედვით 100 გრამ მზა სურსათში ტრანსცხიმის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გრამს, ხოლო ჩვილ ბავშვთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი ტრანსცხიმს არ უნდა შეიცავდეს.[53]
- 2013 წლიდან ხორციელდება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი რომლის შედეგებიც წარმოდგენილია ქვემოთ დიაგრამაზე. 2013 წლიდან 2017 წლის ჩათვლით ვხედავთ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მაჩვენებელს სურსათის უსაფრთხოებაზე, რომელთა რაოდენობაც წლიდან წლამდე იზრდება, კონტროლის ზრდასთან ერთად ვხედავთ დარღვევათა ზრდასაც, რომლის რიცხვიც არცთუ პატარაა, მაგრამ ვინაიდან რეგულაციები და კონტროლის მექანიზმები ჯერ კიდევ ახალი ხილია სექტორისთვის, რომელიც თანდათან ახალ რელსებზე ცდილობს

[52] სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა გვ.4
[53] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ანგარიში 2018

გადასვლას, ვფიქრობთ აღნიშნული მაჩვენებელი არ არის საგანგაშო და მომავალში გაუმჯობესებას უნდა ველოდოთ.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი 2013-2017 წლებში[54]



დიაგრამა 3

2018 წელს ჩატარდა 5530 გეგმური ინსპექტირება შემდეგ ობიექტებში: სასაკლაოებში, ხორცისა და ხორცპროდუქტების საწარმო-სარეალიზაციო ობიექტებში, რძისა რძის პროდუქტების საწარმოებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, საბავშვო ბაგა-ბაღის კვების ბლოკებსა და სკოლის ბუფეტებში,აგრარულ ბაზრებში, პურფუნთუშეულის საწარმოებსა და საკონდიტროებში და სხვა.

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებებიდან მნიშვნელოვანია გამოვყოთ ექსპორტის მასტიმულირებელი და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მხარდაჭერის აქტიური პოლიტიკა. საქართველოს აგრარულ სექტორს ახასიათებს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, როემელიც 2017 წლისთვის 395 მლნ დოლარს შეადგენს. 2012-2017 წლების მანძილზე უარყოფითო სავაჭრო ბალანსის რაოდენობის

[54] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ანგარიში 2018

მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2012 წელს და 753 მლნ დოლარი შეადგინა. აგრო-სასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობა ბოლო 6 წლის მანძილზე წარმოდგენილია დიაგრამაზე:

საგარეო ვაჭრობა 2012- 2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი)[55]



დიაგრამა 4

2018 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 959,2 მლნ აშშ. დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 23%-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. 2018 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 29%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია: ღვინო(21%) სპირტიანი სასმელები (13%), მინერალური და მტკნარი წყლები (11%), თხილი (7%), ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (3%), ცხვრის ხორცი (3%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (3%), ციტრუსი (1%) და სხვა. 2018 წელს, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი 96 ქვეყანაში განხორციელდა, ხოლო 2017 წელს - 93 ქვეყანაში.

[55] საქართველოს სტატისტიკის სამსახური geostat.ge

2018 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 25%, აზერბაიჯანი16%, ევროკავშირი 15%, უკრაინა 9%, ყაზახეთი 7%, სომხეთი 6%, ირანი 4% და სხვა.

2018 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებულია 1.4 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 15.3%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ქვეყნის მთლიან იმპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 14.8%-ს შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია: სიგარეტი (14%), ხორბალი (8%), შინაური ფრინველის ხორცი (5%), შაქარი (4%), შოკოლადის ნაწარმი (4%), საკვები დანამატები (3%), მცენარეული ზეთი (3%), ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (3%) და სხვა. 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო შემცირდა 0.3%-ით[56].

საქართველოს აროსასურსათო ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემდეგ პროდუქტებს: თხილი, ღვინო, მინერალური სასმელები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და სხვა.

ძირითადი აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 2015-2018 წლებში. (მლნ. აშშ დოლარი)[57]

[56] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ანგარიში
[57] სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge



დიაგრამა 5

საქართველოში თხილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. ქვეყანა თხილის მსოფლიო უმსხვილეს ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში შედის. თხილის წარმოება თითქმის ყველა რეგიონშია განვითარებული. თუმცა, ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეგრელო და ზემო სვანეთი (52%), გურია (24%) და იმერეთი (12%). თხილის საშუალო წარმოება საქართველოში უკანასკნელი 5 წლის მონაცემებით საშუალოდ 30 ათას ტონას შეადგენს. საქართველო თხილის მსოფლიო ექსპორტიორთა სამეულში, თურქეთისა და იტალიის შემდეგ, მესამე ადგილს იკავებდა, ხოლო 2017 წელს მე-4 ადგილზე გადავიდა აშშ-ს შემდეგ. ქართული თხილის ექსპორტი ძირითადად ევროკავშირის ბაზარზე ხდება.

2016-2018 წლებში თხილის წარმოება შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებულია სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებებით (თხილის ნაცარი, თხილის ნაცრისფერი და ყავისფერი სიდამპლე), ასევე ინვაზიური მავნებლის - აზიური ფაროსანას გავრცელებით. აღნიშნულმა გარემოებებმა უარყოფითი გავლენა იქონია მოსავლის ხარისხზე და ექსპორტის მაჩვენებელზე. 2018 წელს, საქართველოდან განხორციელდა 69 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თხილის ექსპორტი, რაც წინა წელთან შედარებით 17%-ით არის შემცირებული. 2017 წელს კი 2016 წელთან შედარებით თხილის ექსპორტი 54%-ით იყო სემცირებული. 2018 წელს თხილის ექსპორტი საქართველოდან

ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის მთლიანი ღირებულების 7%-ს შეადგენს. იგივე მაჩვენებელი 2017 წელს 11%-ს შეადგენდა.[58]

მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია ქართულ ღვინოს (იხ.დიაგრამა 4). დიაგრამის მიხედვით მისი ექსპორტი 2015-2018 წლებში 51%-ით გაიზარდა. 2018 წელს კი 2017 წელთან შედარებით ღვინის ექსპორტი გაზრდილია 13%-ით. 2018 წელს საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში 86,2 მლნ ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, რაც ბოლო 30 წლის რეკორდული მაჩვენებელია. ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 203 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20%-ითაა გაზრდილი. ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა შემდეგ სტრატეგიულ ბაზრებზე: იაპონია-37%, პოლონეთი-31%, დიდი ბრიტანეთი-33%, შვეიცარია-378%, ჩეხეთი-81%, გერმანია-20%. ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ათეული ასეთია: რუსეთი (53 682 627), უკრაინა (10 687 835), ჩინეთი (6951 019). ყაზახეთი (3 599 143), პოლონეთი (3 508 122), ლატვია(1 711 078), ბალარუსი (1 606 002), ესტონეთი (581 190), ლიეტუვა (488 154), გერმანია (483 791)[59].

საქართველოს სოფლის მეურნეობის სისტემაში შემავალი უწყება, „ღვინის ეროვნული საგენტო“ ღვინის მიმართულებსი მხარდაჭერად და მისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აქტიურად ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

- ვენახის კადასტრის მასშტაბური პროექტი;
- ღვინის ხარისხის სისტემატური კონტროლი;
- ქართული ღვინისა და ვაზის პოპულარიზაცია;
- რთველის ორგანიზებულად წარმართვის ხელშეწყობა;
- ქართული ღვინის მარკეტინგული სტრატეგია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მიხედვით 2018 წელს:

- გადამუშავდა 245 ათას ტონამდე ყურძენი;
- მევენახეებმა მიიღეს 300 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი;
- სახელმწიფომ შეისყიდა 2 570 ტონა ჭარბი ყურძენი;
- გაიცა 12 342 ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი;

[58] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge

[59] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ანგარიში 2017

- ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით საექსპორტო სტრატეგიულ ბაზრებზე განისაზღვრა მარკეტინგული აქტივობები;
- მიმდინარეობს საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებში ღვინის მწარმოებელთა მონაწილეობის ხელშეწყობა;
- „ქართული ღვინის ფესტივალის“ ფარგლებში გაიმართა პროექტი „10 ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო სანამ ცოცხალი ხარ“, რომელიც ემსახურება შერჩეული ღვინის პოპულარიზაციას.

მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია მეცხოველეობას, მისი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციაში 50%-ია. თუმცა ბოლო წლებში მეცხოველეობის მაჩვენებელი შემცირდა. 2018 წლისთვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 878,9 ათასს შეადგენს, რომელიც შემცირებულია 2017 წელთან შედარებით 4%-ით ათასით. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წილი ექსპორტში 2017 წლის მონაცემებით 5%-ს შეადგენს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საექსპორტო პოტენციალის ზრდა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რადგან წელიწადში თითქმის 100 ათასამდე ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გადის ექსპორტზე, ძირითადად კი მცირე წონის საქონელი. 2018 წელს საქართველოდან ექსპორტზე გავიდა 127 139 სული მსხვისფეხა პირუტყვი, 66 231 სული წვრილფეხა პირუტყვი და 306 029 დაკლული ცხვარი, ასევე 2 210 032 კგ დამარილებული ტყავი 2 168 440 ფრთა ფრინველი[60].

2019 წლის პირველი იანვრიდან აიკრძალა 140 კილოგრამზე ნაკლები ცოცხალი წონის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში საქონლის ხორცის წარმოების გაზრდას, რომელიც ამჟამად იმპორტირებული პროდუქტით ნაცვლდება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის დინამიკა.

საქონლის სულადობა 2014-2018 წლებში(ათასი)[61]

[60] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში 2018.
[61] სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge



დიაგრამა 6

მეცხოველეობის განვითარების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია და რიგი ღონისძიებებით გამოიხატება. მეცხოველეობაში ისევე, როგორც მემცენარეობაში მნიშვნელოვანი პრობლემა სხვადასხვა დაავადებათა გავრცელება და არაეფექტიანობაა. 2018 წლის მონაცემებით მცხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 878.9 ათასია რაც წინა წელთან შედარებით(909.7) შემცირებულია. სხვადასხვა დაავადებათა გავრცელების გამო. აღნიშნული ეხება ვეტერინარიის დეპარტამენტს, როემელიც ზრუნავს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებასა და კონტროლზე; ახორციელებს ეპიზოოტიური მდგომარეობის რისკის ანალიზს, ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციას; ადგენს ცხოველებისა და ადამიანების საერთო საშიში მასობრივი, გადამდები დაავადებების გაჩენა-გავრცელების მიზეზებს და იღებს საჭირო ზომებს ამ დაავადებების პრევენციის, პროფილაქტიკის, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად. ვეტერინარიის დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მიმოქცევის კონტროლი, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის უზრუნველყოფა და კონტროლი, ბიზნესოპერატორებისთვის ვეტერინარული მომსახურება, ცხოველთა სნეულებების დიაგნოსტიკა; ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვაზე, ბიოლოგიური ნარჩენების

შეგროვებასა და განადგურებაზე ზედამხედველობა. დეპარტამენტი ატარებს აცრებს სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ.

მეცხოველეობის განვითარებითვის ხელშეწყობის მიზნით 2017 წელს დაიწყო „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამა მოიცავს 29 მუნიციპალიტეტს, რომლებზეც ვრცელდება „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილება. პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს,რომლების პროგრამაში ჩაერთვებიან, იჯარით გადაეცემათ სათიბ-საძოვრები და შესაბამისი აღჭურვილობა. მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამაში, 2018 წელს 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ჩაერთო, რომელშიც გაერთიანებულია 300-ზე მეტი მეპაიე, მობილიზებული საქონლის რაოდენობა კი 2200 ფურს შეადგენს. მათ 25 წლიანი იჯარის უფლებით გადაეცეათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბსაძოვრები და თანადაფინანსებით საქონლის საკვების წარმოებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა - ტრაქტორი, გუთანი, როტაციული და სეგმენტური სათიბელები, უნივერსალური ფოცხი, მოთიბული მასის ამკრეფ-დამწნეხი და მისაბმელი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის. სახელმწიფო პროგრამს ფარგლებში კოოპერატივებს საწარმოები საკუთრებაშ 30% თანადაფინანსებით გადაეცათ, რომლის გადახდასაც ისინი 8 წლის განმავლობაში უზრუნველყოფენ.[62]

2019 წლიდან იწყება მეცხოველეობის განვითარების 17 მილიონიანი პროექტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ფინანსური მხარაჭერით ხორციელდება. საქართველოში პროექტის განმახორციელებელი იქნება ამერიკული ორგანიზაცია “LAND O LAKES” და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. მეცხოველეობის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა ჯიშთა ცვლა და განახლება-გაუმჯობესება. ის ეხმარება ტექნოლოგიურ პროცესს, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რაც პირდაპირ აისახება მთლიან დარგსა

[62] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2018 წლის ანგარიში.

თუ ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე.

აგრარული სექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიოროტეტია სიღარიბის დონის შემცირება. ვინაიდან აგრარულ სექტორს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ადგილი უკავია, ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლის წყაროს სწორედ სექტორი წარმოადგენს. მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის 70% ცხოვრობს სოფლად. მათი უმრავლეოსობა კი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მიუხედავად ამისა კი ბევრი მათგანი კვლავაც სიღარიბის ზღვარზე ან მის მიღმა ცხოვრობს. აქედან გამომდინარე გლობალური სოფლის მეურნეობის ამ გამოწვევის მისაღებად და სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა, ადეკვატური პოლიტიკის გატარება და ინტიტუციების ჩამოყალიბება, ასევე ფერმერების წვდომის ზრდა შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევაში ადგილობრივ კულტურასა და მახასიათებლებზე იქნას მორგებული.[63]

სექტორის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს შეადგენს ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, რომელიც დროთა განმავლობაში აქტუალობას არ კარგავს. მრავალი მეცნიერი, ეკონომისტი თუ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლების მუშაობენ აგრარულ საკითხებზე ყურადღებას ამახვილებენ აგრარული სექტორის მდგრად განვითარებაზე, რომელიც გულისხმობს, რომ განვითარების ეტაპზე ახლანდელ თაობას აქვს საშუალება მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს, ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს მომავალი თაობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. იგი გულისხმობს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას და მობილიზაციას, რომელც შემდეგ მიემართება ეკონომიკის სხვადახვა სფეროებში, მათ შორის აგრარულ სექტორშიც. სწორედ ამიტომ მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს არსებული რესურსების ოპტიმალურ შეფასებას და გამოყენებას ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ მომავალი თაობების ინტერესებს. არსებობს განვითარების ოთხი პრინციპი:

- ადამიანთა ძირითადი საჭიროებებისა და მაცხოვრებლების ინტერესების დაკმაყოფილება;

[63] „Challenges to World Agriculture in the 21st Century“, Alex F. McCalla

- პლანეტის მთლიანი მოსახლეობის ცხოვრების თანაბარი დონის უზრუნველყოფა;
- ბუნებრივი რესურსების ფრთხილი გამოყენება;
- მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომავალი თაობისთვის ზიანის მიყენების გარეშე.[64]

აგრარული სექტორის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება მოიცავს სწორედ სექტორის მდგრად განვითარებას, რომელიც დოკუმენტში შედეგი სახითაა შეტანილი: „კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება“, ხოლო ჩაშლილია შემდეგნაირად: „კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ პრინციპებით ხელმძღვანელობა, ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება. აღნიშნულმა საკითხებმა ასახვა ჰპოვა აგრარული სექტორის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაშიც, რომელიც წარმოდგენილია სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებით მიმართულებით:

- ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა;
- სოციალური პირობები და ცხოვრების დონე;
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს აგრარული სექტორის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სტრატეგიას, გარემოს დაცვის, სოფლის ტურიზმის, სოფლის ინფრასტრუქტურის და სოფლის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიების ეფექტური განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სამთავრობო უწყებებს შორის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის წამყვანი უწყება სოფლის განვითარების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. სტრეტეგიის ეფექტურობისთვის საჭიროა თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებებთან. ასეთი მიდგომაა ევროკავშირის LEADER-ის შესაბამისი”[65]. მიდგომა ითვალისწინებს სოფლად თემების მობილიზაციასა და განვითარების

[64] ნაცვალაძე მ. „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი: თბილისი 2009
[65] საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, გვ. 65.

ხელშეწყობას. მიდგომის განხორციელება დაიწყო 1991 წელს. მიდგომის მიზანია სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების გადაჭრის გზით. იგი ითვალისწინებს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ახალ ფორმებს. LEADER-ის ძირითადი მიმართულებებია:

1.გეოგრაფიულ ტრიტორიაზე დამყარებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები;

2.ვერტიკალური მიდგომა. ამ მიდგომით ადგილობრივ მაცხოვრებლებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიღონ გადაწყვეტილების მიღების და ადგილობრივი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ისინი თავად განსაზღვრავენ პრიორიტეტებს ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების გათვალისწინებით.

3.საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორები: ადგილობრივი განვითარების ჯგუფები;

4.ინოვაციების ხელშეწყობა;

5.ინტეგრირებული და მრავალდარგობრივი ღონისძიებები;

6.კავშირების დამყარება და ქსელური მუშაობა;

7.თანამშრომლობა[66].

XXI საუკუნეში ერთერთი მთავარი მიმართულება გარემოს დაცვა და მდგრარდი განვითარებაა, ამასთანავე თანამედროვე მკაცრი კონკურენციული პირობები და გლობალური გარემო მოითხოვს ინოვაციურ და ტექნოლოგიურ განვითარებას, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების და მსოფლიოს მკაცრ პირობებშ თავის დამკვიდრების წინაპირობაა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ამუშავებენ სხვადასხვა სტრატეგიებსა თუ მიმართულებებს, რომლებშიც აღნიშნლს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგალითად ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პოლიტიკას 2010 წლამდე აქვს 6 ძირითადი პრიორიტი[67], რომლებიც შემდეგია:

1. სოფლისა და სატყეო მეურნეობაში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა;

[66] lagodekhilag.ge
[67] http://ec.europa.eu/agriculture/rural-development-2014-2020/index_en.htm

2. სოფლის სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება კვლავაც იოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტყის რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა;
3. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, დაცვა და გაუმჯობესება;
4. რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში, სურსათის წარმოებასა და მეტყევეობაში ეკოლოგიურად სუფთა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკის მხარდაჭერა;
5. სოფლის მეურნეობის რისკების მართვა, სურსათის წარმოებაში ღირებულებათა ჯაჭვის ორგანიზების ხელშეწყობა;
6. სიღარიბის შემცირება და სოციალური ჩართულობის ამაღლება სოფლად.

როგორც ვხედავთ, საქართველოს აგრარული სექტორის პრიორიტეტები მნიშვნელოვნად არაა განსხვავებული ევროკავშირის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებისგან. სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში აღებულ ვალდებულებათა შესრულებისკენ, რაც ითვალისწინებს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ასევე საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და ნორმების დანერგვას, ევროპის ქვეყნებთან ინსტიტუციურ ჰარმონიზაციას და მაქსიმალურ მიახლოებას.[68]

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ მცირემიწიანობით გამოწვეული პრობლემის გადაჭრის მსოფლისო გამოცდილების შესახებ. აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებს აგრარული სექტორის განვითარებას. მცირემიწიანობის პრობლემა არ დგას მხოლოდ საქართველოში. მრავალი ქვეყანა დგას სწრედ ამ პრობლემის წინაშე და აგრარული სექტორის რეგულირებაში მცირემიწიანობის პრობლემის მოგვარება პრიორიტეტულ ადგილს იკავებს. საერთაშორისო გამოცდილებით სასოფლო-სამეურნეო მიწების გამსხვილება წახალისებას და სახელმწიფოს ჩარევის მინიმალურ დონეს მოითხოვს, რათა არ დაირღვეს ბაზრის პრინციპები. პროცესი ძირითადად მიწის ბაზარზე

[68] საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020 გვ.7

არსებული ინფორმაციული ასიმეტრიულობის აღმოფხვრას უნდა ემსახურებოდეს, რათა არ მოხდეს დარგის განვითარების შეფერხება. მცირემიწიანობა პრობლემაა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში. მათმა უმრავლესობამ დაიწყო მიწების გამსხვილების სხვადასხვა პროგრამა. აღმოსავლეთ ევროპის 25 ქვეყნიდან, 7-მა ქვეყანამ დაიწყო მიწის კონსოლიდაციის პროგრამა, 13-მა ქვეყანამ დაიწყო მიწის გამსხვილების პოლიტიკაზე მუშაობა. 5 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ არ დაუწყია[69].

მიწის კონსოლიდაციის მოდელები ეფუძნება გერმანიის ჰოლანდიის და დანიის მოდელებს. თითოეული მოდელი ერთმანეთისგან მცირედით განსხვავდება და ძირითადადმსგავსი პრინციპით მოქმედებს. მიწის კონსოლიდაციის მიდგომები განსხვავდება მისი სავალდებულო და ნებაყოფლობითი ხასიათით. სავალდებულო კონსოლიდაციის დროს მიწის მფლობელებისა და ფერმერების ინტერესთა გათვალისწინებით ხდება მიწის გადანაწილება. მაგალითად, თუ ერთი ფერმერი ფლობს 3 ან 4 მიწის ნაკვეთს სხვადასხვა ადგილას, იგი თავის მიწას გაუცვლის მეზობელ ფერმერს, რომელსაც ასევე აწყობს ეს გაცვლა, რადგან მისი ნაკვეთებიც გაფანტულია. ამგვარად ჯამში ყველა ფლობს ერთი და იგივე ღირებულების მიწას, მაგრამ ერთად კონსოლიდირებულს.

FAO-ს ექსპერტის ჰარტვიგსენის კვლევის მიხედვით 2015 წელს 7 ქვეყანაში მიწის გამსხვილება წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა. ეს ქვეყნებია: პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ლიტვა, სერბეთი და აღმოსავლეთი გერმანია. გამსხვილების პროგრამის მქონე 7 ქვეყნიდან 6 ქვეყანაში აირჩიეს სავალდებულო მიდგომა. მიწის კონსოლიდაციისს პროგრამით ნაკვეთები ერთიანდება, მფლობელთა რიცხვი კი იგივე რჩება.

მიწის კონსოლიდაციის გეგმის მქონე ქვეყნების ძირითადი მოტივია მიწის სტრუქტურის შეცვლა და კონკურენტუნარიანობის ზრდა. ნაწილი ქვეყნები კი კონცენტრირებული არიან მიწის მფლობელთა პრობლემებზე და მიწის მართვის სისტემის შემუშავებაზე. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ მიწის

[69] ლუკაშვილი მ. მიწის კონსოლიდაცია და მიწის ბანკი მიწის გამსხვილების ინსტრუმენტი http://eugeorgia.info/ka/article/615/miwis-konsolidacia-da-miwis-banki---miwis-gamsxvilebis-instrumenti/

კონსოლიდაციის საპილოტე პროექტმა საუკეთესო შედეგები აჩვენეს ალბანეთში, სომხეთსა და მოლდოვაში.

აღმოსავლეთევროპისგან განსხვავებით დასავლეთევროპული ქვეყნების კანონმდებლობა შედარებით უარყოფითადაა განწყობილი იურიდიული პირებისთვის მიწის მიყიდვის საკითხისადმი. უმეტეს ქვეყნებში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ადგილობრივ მაცხოვრებელ ფიზიკურ პირებს, ამასთანავე განსაზღვრულია ქვედა და ზედა ზღვარიც, რათა არ მოხდეს ნაკვეთების დაქუცმაცება და ფრაგმენტიზაცია. მაგალითად, დანიაში მიწის კანონმდებლობით საკუთარი და იჯარით აღებული მიწის ფართობუ არ უნდა აღემატებოდეს 150 ჰა-ს. შვეიცარიაში „კანონი მიწის საკუთრების შესახებ“ ადგენს ერთი მეურნეობის მინიმალურ და მაქსიმალურ საზღვრებს. მინიმალურმა ზომამ უნდა უზრუნველყოს ერთი ადამიანის დასაქმება, მაქსიმალურად კი ითვლება ნაკვეთი, რომელიც უზრნველყოფს ნორმალური შემოსავლების დონეს 2-3 დასაქმებულისთვის, დაბლობ ადგილებშ ნაკვეთების მინიმალური ზომა 5-7,5 ჰექტარია. ნიდერლანდებში დამშრალი მიწების დიდი ნაწილი ეკუთვის სახელმწიფოს და გასცემს ხანგრძლივი იჯარის საფუძველზე, იზღუდება გადაჭარბებული კონცენტრაცია და ცალკეული პირების ხელში დიდი ფართობების მოქცევა. გერმანიაში მიწის ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად გასაყიდი ან იჯარით ასაღები მიწის ნაკვეთი არ უნდა უყვეს 1 ჰა-ზე ნაკლები, მაქსიმალურ ზომად მიღებულია 500 ჰა. მიწის ბაზრისადმი შედარებით ლიბერალური მიდგომა ახასიათებს აშშ-ს, კანადასა და ავსტრალიას[70].

როგორც მებისმიერ სფეროში, ასევე სოფლის მეურნეობაშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი ინოვაციურობას უკავია. მნიშვნელოვანია ამ კუთხით მსოფლისო გამოცდილება. სტატისტიკური კვლევის მიხედვით აგრო-რობოტიზაციის ბაზარი 2013 წლისთვის 817 მილიონს შეადგენდა, 2020 წლისთვის კი 16 მილიარდს მიაღწევს, აგრო-რობოტებშ იგულისხმება თვითმავალი ტრაქტორები, საკრეჭი მანქანები და სხვა უამრავი აგრეგატი. მაგალითად იაპონიამ 1980 წელს გამოიყენა დრონი ბრინჯის ლანტაციების შესაწამლად და ნაკვეთების 40% სწორედ ასე შეწამლა. თანამედროვე რეალობაში მნიშვნელოვანი ინოვაციური მიმართულებაა ვერტიკალური სოფლის

[70] მიწის განაწილების საერთაშორისო გამოცდილება agronews.ge.

მეურნეობა. ეს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს დახურულ სივრცეში, სახურავებზე, კედლებზე მოვიყვანოთ ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, ხორბალი, სიმინდი და სხვა მცენარეები.

გაეროს მონაცემებით 2050 წლისთვის განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 86% იცხოვრებს ქალაქებში, ამის გათვალისწინებით კი ვერტიკალური სოფლის მეურნეობის 3 ძირითადი მიმართულება იკვეთება:

- **ჰიდროპონიკა**. ამ მეთოდის გამოყენებისას მცენარეები იზრდებიან წყალში. მისი საშუალებით შეგვიძლია მცენარე 16 დრეში გავზარდოთ, როცა სასათბურე პირობებში ამას 30 დღე სჭირდება.სექნოლოგია საშუალებას იძლევა მოვიხმაროთ95%-ით ნაკლები წყალი, 50%-ით ნაკლები სასუქი და საერთოდ არ გამოვიყენოთ პეტიციდები.
- **აეროპონიკა.** ამ მეთოდის საშუალებითმცენარის ფესვები ჰაერშია მოთავსებული და საკვები ნივთიერებები და წყალი მიეწოდება წვრილი წვეთების საშალებით. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია წელიწადში რამდენიმე მოსავლის მიღება.
- **აკვაპონიკა.** მეთოდი გულისხმობს თევზებისა და მცენარეების ერთობლივ ზრდას. სპეციალური სისტემის მეშვეობით მცენარეები ახდენენ წყლის გასუფთავებას და ჟანგბადის მიწოდებას ტევზებისთვის, ხოლო თევზების მიერ გამოყოფილი ნარჩენებით, რომლებიც შეიცავს ბევრ მინერალებს ხდება მცენარეების გამოკვება[71].

ეს მეთოდები რათქმაუნდა მომავლის სფეროა, მაგრამ მათი გამოყენება უკვე ხდება განვითარებულ ქვეყნებში. სასამ საქართველოს აგრარული სექტორი მსგავსი განვითარების დონეს მიაღწევს დიდი გზა აქვს გასავლელი, რომელიც ცოდნისა და ტექნოლოგიური განვითარების გზაზე გადის. ისეთმა პატარა ქვეყნებმა, როგორებიც ისრაელი და ჰოლანდიაა მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწიეს, როგორც აგრარულ ისე მთლიანად ეკონომიკაში და ეს სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიების დამსახურებაა. ჰოლანდია, რომლის ფართობი 41,543კმ^2 -ია ყოველწლიურად 100 მილიარდზე მეტი შემოსავალი აქვს აგრარული სექტორიდან. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით

[71] კოდუა მ. ტექნოლოგიური რევოლუცია სოფლის მეურნეობაში www.tbcbusiness.ge.

მათ შეუძლიათ 1 ჰა-ზე 500 ტონა პომიდვრის მოყვანა, ასევე ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო მასალების, ცოდნის და ტექნოლოგიების ექსპორტს.

3.2 სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის შედეგების შეფასება.

2013 წლიდან სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა შეღავათიან პროექტს, საიდანაც ერთი უპროცენტო სასაქონლო კრედიტია მცირე ფერმერთათვის, ხუთი-დაბალპროცენტიანი აგროგრედიტი და ერთიც შეღავათანი აგროლიზინგი[72]. აგრარული სექტორის განვითარებისთვის გაერთიანებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი სხვადასხვა უწყება, რომლებიც შესაბამისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში ახორციელებენ სვადასხვა პროექტების განხორციელებას. ერთ-ერთი ასეთი უწყებაა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. სააგენტოს მთავარი ფუნქცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტების დაგეგმვა და მართვა. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

1. შეღავათიანი აგროკრედიტი;
2. ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის პროგრამა;
3. აგროსაწარმოების ხელშეწყობის პროგრამა;
4. დანერგე მომავალი;
5. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი;
6. აგროდაზღვევა;
7. ახალგაზრდა მეწარმე;
8. ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მიზანია, აგრომეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამამუშავებელი წარმოების, აგროპროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა. 2013-2018 წლებში, სულ გაცემულია 1,811,013,838 ლარის ოდენობის 34,064 ერთეული სესხი. ბენეფიციარების

[72] კოვზანაძე ირ., საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე, ჟურმალი ეკონომიკა და ბიზნესი N1 2019.

ერთობლივი შემოსავალი 2018 წელს 2.36-ჯერ აღემატება 2012 წლის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ერთობლივ შემოსავალს. ამასთანავე მნიშვნელოვნადაა გაზრდილია ბენეფიციართა მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხები. 2013-2018 წლებში ასევე გაზრდილია დასამებულთა რაოდენობა, სულ შემქნილის 12 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

პროექტი **დანერგე მომავალის** ფარგლებში ფერმერებს საშუალება აქვთ, სახელმწიფო თანადაფინანსების დახმარებით, გააშენონ მრავალწლოვანი ხეხილის ბაღები და შექმნან სანერგე მეურნეობები. პროექტის განხორციელება 2015 წლის მარტში დაიწყო და მისი მთავარი მიზანია, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამმუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. პროექტი შედგება ორი კომპონენტისგან: მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი და სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტი. 2017 წლის მონაცემების მიხედვით სულ დაფინანსდა 286 ბენეფიციარი 10 148 508 ათასი ლარით.

ცხრილი 9

თანადაფინანსების პროექტის შედეგები რეგიონების მიხედვით 2017 წელი[73]

რეგიონი	განაცხადის რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	ფართობი, ჰა	საგენტოს თანადაფინანსება, ლარი
აჭარა	1	1	3	51,000
გურია	8	8	42	476,924
იმერეთი	15	14	63	324,238

[73] წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წლიური ანგარიში, 2017.

კახეთი	101	97	770	3,643,282
მცხეთა-მთიანეთი	8	7	28	152,022
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	2	2	5	23,748
სამეგრელო-ზემო სვანეთი	18	17	63	708,179
სამცხე-ჯავახეთი	3	3	12	64,478
შიდა ქართლი	100	91	497	3,298,068
ქვემო ქართლი	51	46	299	1,406,570
სულ	307	286	1,783	10,148,508

აგროდაზღვევის პროექტის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, მოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება. პროექტის ფარგლებში შესაძლებელია არაუმეტეს 5 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო კოოპერატივების შემთხვევაში დასაზღვევი მიწის ნაკვეთის ფართობი შეუზღუდავია, ხოლო სადაზღვევო პრემიის მაქსიმალური რაოდენობა 50 000 ლარია.პროექტის ფარგლებში სადაზღვეო პოლისის შეძენის შემთხვევაში ფინანსდება მისი ღირებულების:

- 50 % - ვაზის დაზღვევის შემთხვევაში
- 70 % -სხვა დანარჩენი კულტურის დაზღვევის შემთხვევაში.

2014-2018 წლებში გაიცა 81 ათასამდე სადაზღვევო პოლისი, დაზღვულ 71,4 ჰექტარზე. 2014-2018 წლებში სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალის ოდენობა შეადგენს - 46,7 მლნლარს. სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემია კი შეადგენს 33,8 მლნ. ლარს.

ცხრილი 10

პროექტი „აგროდაზღვევა“ - პოლისების რაოდენობები, სადაზღვევო პრემიები და დაზღვეული ფართობების და ანაზღაურებები რეგიონების მიხედვით 2014-2018 წლებში[74].

რეგიონი	პოლისების რაოდენობა	სადაზღვევი პრემია(ლარი)	ფართობი (ჰა)	ანაზრაურებული ზარალი
აჭარა	22,328	5,107,904	7,379	6,419,404
გურია	8,637	1,729,105	3,032	501,254
თბილისი	7	931	1,449	0
იმერეთი	4,176	294,728	1,449	11,232
კახეთი	27,358	24,308,691	35,919	17,228,202
მცხეთა-მთიანეთი	200	144,517	293	12,291
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	235	46,824	112	13,878
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6,793	1,901,839	5,343	1,058,270
სამცხე-ჯავახეთი	3,430	3,736,959	4,337	1,870,786
ქვემო ქართლი	1,813	1,504,716	6,638	1,966,913
შიდა ქართლი	6,478	8,021,815	6,911	6,046,493
სულ	**81,453**	**46,798,029**	**71,413**	**35,128,721**

2019 წლის ივნისის თვის მონაცემებით, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 9 834 პოლისი, პროგრამაში ჩართულია 4 985 ბენეფიციარი. სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდიის თანხამ 4 148, 239 ლარი შეადგინა.

[74] სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო apma.ge

დაზღვეულია 10 473 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი, ხოლო მოსავლის ღირებულება ჯამში 96 497 027 ლარს შეადგენს[75].

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა **ქართული ჩაის** მიზანია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ჩაის გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნა და ჩაის წარმოების ზრდის ხელშეწყობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, პლანტაციის რეაბილიტაციის შემდეგ სახელმწიფოსგან სრულიად უსასყიდლოდ გადაეცემათ ჩაის პირველადი გადამუშავებისთვის საჭირო ყველა მანქანადანადგარი. პროექტის ფარგლებში 2016-2017 წლებში 24 ბენეფიციარს დაუმტკიცდა 28 განაცხადი.პლანტაციების ჯამური ფართობი შეადგენდა 907 ჰა-ს, რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება - 2.3 მლნ ლარს. 2018 წელს განხორციელდა 16 პროექტი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 325ჰა-ს, სახელმწიფო თანადაფინანსების სისდიდე კი-557 256 ლარს. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად უდმივად დასაქმებულ დამიანთა რიცხვი 400-ია, ხოლო სეზონურად დასაქმებულთა რაოდენობა 800-მდე ადამიანი[76].

პროექტი ახალგაზრდა მეწარმე. პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. 2018 წლიდან ახორციელებს ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის სართაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით. პროექტის ბენეფიციარები არიან რეგიონებშ ახალი ბიზნესის დაწყების მსურველი მამაკაცები საკით 18-35, და ქალები ასაკით 18-40 წელი, ასევე კოოპერატივები, რომელთა დამფუძნებლები და მეპაიეები არიან აღნიშნულ ასაკობრივ ჭრილში. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება როგორც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. სახელმწიფოს თანადაფინანსება შეადგენს ბიზნესგეგმაში აღწერილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების არაუმეტეს 40%-ს. პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10,000 ლარს.

2018 წელს განხორციელდა 116 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიცია შედგენს 12 მლნ ლარზე მეტს, ხოლო სახელმწიფოს თანადაფინანსება 5 მლნ ლარს უტოლდება.

---

[75] სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო apma.ge

[76] business.org.ge

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია მოსავლიონობის ზრდის ხელშეწყობა, პირველადი წარმოების პროდუქტების ხარისხის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის მიერ. პროექტი დაიწყო 2016 წელს და

ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი არეგულირებს ფერმერთა ერთიანი რეესტრის შექმნას, რითიც მოხდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების, მათი საქმიანობისა და მათ საკუთრებაში არსებული საოსფლო-სამეურნეო აქტივების შესახებ ინფორმაციის ერთიან ბაზაში კონსოლიდაცია. პროექტის მიზანია: „ევროპის სმეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის“ (ENPARD II -ის)შეთანხმებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულების შესრულება. პროექტის მიზანია ასევე, აღრიცხული იქნას საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი, რამაც საშუალება უნდა მისცეს სახელმწიფოს ფლობდეს სტატისტიკურ ინფორმაცია, რომელსაც გამოიყენებს სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისთვის და მათთვის საჭირო პროექტებისა და პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

პროექტის ამოცანები:

- სასოფლო-სამურნეო საქმიანობით დაკავებული იმ პირების იდენტიფიცირება, რომელთა შესახებ პირველადი ინფორმაციის მოძიება ხდება სხვადასხვა სახელმწიფოს უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული იდენტიფიცირებული პირების და მათი საქმიანობის შესახებ მოძიებული პირველადი ინფორმაციის სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანა
- ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანილი პირველადი ინფორმაციის გადამოწმება და დაზუსტება ფერმერთა რეგისტრაციის პროექტით დადგენილი წესის შესაბამისად;
- ელექტრონული, დინამიური და ინტერაქტიული სისტემის შექმნა[77].

[77] სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. http://apma.ge/projects/read/farms-farmers_registration_project/

(ENPARD II) შეთანხმებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულების შესრულება, საქართველოს მასშტაბით, არაუგვიანეს 2018 წლისა, ფერმერთა რეესტრში დაახლოებით 100,000-მდე ფერმერის რეგისტრაცია. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი უკვე რეგისტრირებულია 107 058 ფერმერი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შენახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის მიზანია პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების შექმნა და მათი დაფინანსება. თანადაფინანსების პროექტში მონაწილეობის მისაღებად, ბენეფიციარის პროექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 250,000 ლარს. პროექტი ხორციელდება 2014 წლიდან და 2018 წლის მონაცემებით საწარმოთა რაოდენობა შეადგენს 45-ს მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია კი 70 439 440 ლარს.

აღსანიშნავია მნიშვენლოვანი მიმართულება სოფლის მეურნეობის სფეროში, რომლის გარეშეც ყოველგვარი ქმედება უშედეგო იქნებოდა. აღნიშნული არის მიწების მელიორაცია, რომელსაც საქართველოშ ახორციელებს შპს „საქართველოს მელიორაცა“. აგრარულ სექტორში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მიწების სათანადო მომარაგება წყლით, შესაბამისად ზემოთ აღნიშნული ორგანიზაცია ეწევა სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობას, ექსპლუატაციას, რომელიც უზრუნველყოფს ინტენსიური და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნას. შპს „საქართველოს მელიორაცია“ მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდის გაზრდის მიზნით, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მასშტაბურ სარეაბილტაციო სამუშაოებს ატარებს. სამელიორაციო სისტემების მოწესრიგებამ მნიშვნელოვნად უნდა განავითაროს სოფლის მეურნეობის სექტორი გაუმჯობესოს და გაზარდოს საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა. ამ კუთხით მნიშნელოვანი წინსვლა და შედეგებია მიღწეული. ყოველწლიურად იზრდება მელიორირებული სავარგულების რაოდენობა, რამაც სოფლის მოსახლეობისთვის გააჩინა დამატებითი სტიმული დაბრუნებოდნენ მიწათმოქმედებას. 2012-2018 წწ საქართველოს მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 258 სარეაბილიტაციო პროექტი დასრულდა. 2018 წელს განხორციელდა 41 პროექტი, რომლის შედეგად მოხდა 4 956 ჰექტარის ირიგაცია და

1165 ჰექტარის დაშრობა. სულ 2012-2018 წლებში წყლით უზრუნველყოფილია 127 000 ჰა. შპს „საქართველოს მელიორაციის“ ძირითადი სტრატეგიული ღონისძიებებია:

- წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტის მომზადება;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა;
- საინვესტიციო ობიექტების სკრინინგის ერთეულის დაფუძნება;
- წყალმომხმარებელთა მხარდამჭერი ერთეულის შექმნა;
- ინსტიტუციონალური განვითარება.

2019 წელს სამელიორაციო სისტემების მოსაწესრიგებლად გამოყოფილია 77 მლნ ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 9 მილიონი ლარითაა გაზრდილი.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა. რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის მხარდაჭერით მიმდინარეობს. აღნიშნული მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისთვის. ყველა საწარმო, რომელიც სარგებლობს გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტით, ვალდებულია დანერგოს ISO-22000 ან HACCP საერთაშორისო სტანდარტი, რომლის დანერგვის 80% ფინანსდება, 20 %-ის დაფარვა კი ბენეფიციარს უწევს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროექტების „დანერგე მომავალი“ და „ქართული ჩაი“ ბენეფიციარებს პირველადი წარმოების სტანდარტის - GLOBAL GAP - დანერგვაში ეხმარება. GLOBAL GAP-ის დანერგვის შემთხვევაში, 50 %-ს ბენეფიციარი აფინანსებს, ხოლო 50 %-ს დონორი ორგანიზაცია.

გარდა ზემოთ აღნიშნული პროგრამებისა და სამოქმედო გეგმისა, შემუშავებული იქნა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით განისაზღვრა სამი ძირითადი მიმართულება:

- ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა;
- სოციალური პირობები და ცხოვრების დონე;
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

აღნიშნული მიმართულებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის და მთლიანად ეკონომიკის განვითარებისთვის. ამიტომ აუცილებელია მათ მიმართ სწორი რაციონალური და დროში გაწერილი მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც სათანადო ძალისხმევის შედეგად ნამდვილად ეფექტიანი იქნება და აგრარული სექტორის სამომავლო მაჩვენებლებზე დადებითად აისახება.

2019 წლისთვის დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა, როემელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას;
2. იმერეთის აგროზონა, რომლის მიზანია დასავლეთ საქართველოს ტრადიციული დარგის, სასათბურე სექტორის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების სტიმულირება და შედეგად საექსპორტო შემოსავლების ზრდა, ქვეყნის მასშტაბით სასათბურე სექტორის მოდერნიზაციისა და ცოდნის გაზიარების ნიმუშის შექმნა და სხვა;
3. ტექნიკური დახმარების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარკეტინგის პროექტი, რომლის მიზანია საგრანტო დაფინანსების მეშვეობით ხელმისაწვდომი გახდეს ხარისხიან მარკეტინგულ სერვისებზე წვდომა, მარკეტინგული ინფორმაციის შექმნა და მწარმოებლებისთვის აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
4. მესაქონლეობის ხელშეწყობის პროექტი;
5. ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიზანია საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობა და ბიოპროდუქტების პოპულარიზაცია[78].

ზემოაღნიშნული პროექტები ნამდვილად ხელშემყობი ფაქტორი იქნება სოფლის მეურნეობის მიზნობრივი განვითარებისთვის, ამისთვის მთავარია სწორი, გრძელვადიანი პოლიტიკის გატარება, სექტორის საჭიროებების გათვალისწინებით.

[78] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ანგარიში.

დასკვნა

აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ საქართველოში აგრარული სექტორის მდგომარეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკის სხვა სექტორების მდგომარეობას. რაც განპირობებულია რიგი მიზეზებით: არასაკმარისი ფინანსების რაოდენობით სფეროში, შესაბამისი ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობით, ნედლეულის გადამუშავების არაკომპლექსური სტრუქტურით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოსახლეობის თითქმის ნახევარი დამოკიდებულია მიწათმოქმედებისგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფო სხვადასხვა სახით ცდილობს მეურნეობების დახმარებას, თუმცა ერთჯერადად გაწეული დახმარებებით ვერ ხერხდება სოფლის მეურნეობის განვითარება. აგრარული

სექტორი დიდი ხანია განიცდის რეცესიას, რამაც გამოიწვია წარმოების ეფექტიანობის შემცირება, დეკაპიტალიზაცია და მოსახლეობის გაღარიბება.

აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირება მოითხოვს ფრთხილი და მიზანმიმართული, გრძელვადიანი პოლიტიკის გატარებას, რომელსაც არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი. სახელმწიფო პოლიტიკა მორგებული უნდა იყვეს ფერმერულ მეურნეობების განვითარებაზე, ვინაიდან მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქვეყნის აგრარულ სექტორში. აღნიშნული პოლიტიკა მოითხოვს მიწის დაუსრულებელი რეფორმის გატარებას, რაც უზრუნველყოფს მიწის კადასტრის სრულ აღრიცხვას და გაამარტივებს კონკრეტული პოლიტიკის გატარებას.

საქართველოს აგრარული სექტორისთვის მნიშვნელოვანია ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება და ამით საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის გაზრდა და აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის შემცირება არა იმპორტშემზღუდველი პოლიტიკით, არამედ ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობით. აგრარული სექტორის სტრატეგიული დარგების განვითარებას განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ დარგებმა უნდა შექმნან ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პოტენციალი. მნიშვნელოვანია ბაზარზე შეღწევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ., რაც ქვეყნის პოპულარიზაციასა და შემოსავლების ზრდის საფუძველი გახდება.

საქართველო თავისი ბუნებრივი კლიმატური პირობებით იმის საშუალებას იძლევა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ვაწარმოოთ. მსოფლიო ბაზარზე ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. ჩვენმა პროდუქტებმა პოპულარობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი უცხოეთში უნდა მოიპოვოს. აუცილებელია სწორი პოლიტიკის გატარება და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიის შემუშავება.

აგრარული სექტორის დინამიკური განვითარებისკენ მიმართული მიდგომა უნდა აერთიანებდეს კომპლექსურ და სტრატეგიულ მეთოდებზე დაფუძნებულ სპეციალურ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრებთა ყოფა და ამავდროულად, გაუმჯობესდება და უკეთ იქნება დაცული

კულტურული მემკვიდრეობა და ბუნებრივი გარემო. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობას, სოფლის მოსახლეობისთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას, სოფლის მეურნეობაში ინოვაციების დანერგვის მხარდაჭერას, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას, სოფლის მეუნეობის პროდუქტების წარმოების და მარკეტინგის ხელშეწყობას, ფერმერული მეურნეობების კონკუტრენტუნარიანობის ამაღლებას.

ნაშრომში განხორციელებული მსჯელობებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა აგრარული სექტორის განვითარებისთვის საჭირო სახელმწიფო რეგულირების აუცილებელი მიმართულებები:

- აგრარული სექტორის სათანადო ინსფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- აგრარული სექტორის პოტენციალის სრულად ათვისება;
- აგრარული სექტორის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, და პრიორიტეტული მიმართულებების მხარდაჭერა;
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- აგროდაზღვევის სისტემის განვითარება და სრულყოფა;
- საკონსულტაციო ცენტრების გაფართოება და მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება;
- მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოების უზრუნველყოფა;
- მართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება;
- კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. „სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები საქართველოში“;
2. აგიაშვილი „ფერმერული მეურნეობების ფორმირების თავისებურებები საქართველოში და მათი როლი მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფაში“ 2006;
3. ბერიძე ზ. „ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში“, თბილის 2011;
4. ბურკაძე ვ. ქეშელეშვილი ო., „საქართველო მსოფლიო გლობალიზაციის წრედში“ 2003;
5. გველესიანი რ. „აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა“.

6. გიორგაძე, ,,გლეხური ფერმერული მეურნეობების საწარმოო პოტენციალი და მისი რაციონალური გამოყენება”. თბილისი 1997;
7. ერქომაიშვილი გ. „აგრარული სექტორი და მისი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“;
8. ერქომაიშვილი გულნაზი, საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული წინამძღვრები, თბილისი2016
9. ერომაიშვილი გ. ჩავლეიშვილი მ. სეთურიძე რ. „სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში გლობალიზაციის პირობებში“;
10. ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის პროექტი საქართველოში „კოოპერატივები, ახალი გზა სოფლის მეურნეობაში“ acda.gov.ge
11. ვაშაკიძე, „გლეხური თუ ფერმერული მეურნეობა“, გაზეთი ,,ფინანსები;
12. თეთრაძე გ. „აგრობიზნესის როგორც სამეწარმეო საქმიანობის აქტუალური პრობლემები საქართველოში“, თბილისი 2017 წელი;
13. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდეობა, სამთავრობო პროგრამა 2018-2020წ., ივნისი, 2018 წ. გვ. 27.
14. კოღუაშვილი პ., ჩხეიძე „სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მტავრობის უპირველესი მოვალეობაა“;
15. კოღუაშვილი პაატა „აგრარული რეფორმა:შედეგები და პერსპექტივები“, თბილისი, 1998;
16. კოღუაშვილი, მამუკელაშვილი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N2.
17. კოჭლამაზაშვილი ირ., კოოპერატივების ყოველწლიური გამოკითხვის შედეგების წარდგენა 2017წ. ევროკავშირის მიერ საქართველოში დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება;
18. კოვზანაძე ირ., საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე, ჟურმალი ეკონომიკა და ბიზნესი N1 2019.

19. ლუკაშვილი მ. მიწის კონსოლიდაცია და მიწის ბანკი მიწის გამსხვილების ინსტრუმენტი http://eugeorgia.info /
20. ნაცვალაძე მ. „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი: თბილისი 2009;
21. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. 2012;
22. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნლების მიწის საკუთრების შესახებ“ მიხლი მე-4, 2007 წელი;
23. საქარველოს მთავრობის განკარგულება, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.
24. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2018;
25. საქართველოს ფერმერთა ასოციაციაციის 2017 წლის ანგარიში
26. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020
27. საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის საქმიანობის ანგარიში 2017;
28. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ანგარიში 2018;
29. „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში 2012 „ ;
30. საქართველოში ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება 2017 ;
31. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ FAO 2012;
32. საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020
33. საქართველოს კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ 2013 ;
34. საქართველოს სოფლის მეურნეობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2017;

35. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა;
36. ტუფურია როზა „აგრარული წაროების რესურსული პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე“,თბილისი 2010 წელი;
37. ჭითანავა ნ. საქართველოს აგრარული სექტორის დღევანდელი მდგომარეობის ძირითადი ნიშნები და თავისებურებები
38. ხარაიშვილი „სასოფლოსამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში ფერმერთა დამოკიდებულებები და შეფასებები“.
39. „Challenges to World Agriculture in the 21st Century“, Alex F. McCalla
40. Paul Winters “The role of agriculture in economic development:visible and invisible surplus transfers”, Rome 1997.

გამოყენებული ინტერნეტრესურსები

1. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ elkana.org.ge
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო acda.gov.ge
3. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო napr.gov.ge
4. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია gfa.org.ge
5. საქართველოს სტატსტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
6. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ampa.ge
7. მსოფლიო ბანკი www.worldbank.org
8. Agronews.ge
9. business.org.ge
10. lagodekhilag.ge
11. ec.europa.eu